პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 282 (10058) | კვირა, 28 ნოემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან მშვიდობა. — „პრავდის“ 27/XI მოწინავე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის (1-ლი გვერდი).

მხატვრული თვითმოქმედების VIII რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე (1-ლი გვერდი).

შ. არუშანიანი. — ხალხთა ძმურ ოჯახში (მე-2 გვერდი).

პ. ჭიოკაძე. — კომუნისტები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).

ბ. ლვინიაშვილი. — თბილისის ტრამვაის 50 წელი შეესრულდა (მე-2 გვერდი).

გ. ჩიბურდანიძე. — ალბანელი ხალხის გამარჯვების ათი წლისთავი (მე-3 გვერდი).

შ. მშველიძე. — ანტონ რუბინშტეინი (მე-3 გვერდი).

საყურადღებო „წვრილმანები“. — ბ. ...

დ. ლომთათიძე. — ფართო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონელი მოსახლეობას (მე-3 გვერდი).

ფინეთს ჩავიდა ა. ი. მიქოიანი (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან მშვიდობა

სტოკჰოლმში 23 ნოემბერს მუშაობა დაამთავრა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიამ. სესიის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილებანი თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

სესიის მუშაობაში ცენტრალური ადგილი დაიკავა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხთა განხილვამ. ეს სავსებით კანონზომიერია: ამ პრობლემის გადაწყვეტაზე ხომ დამოკიდებულია მშვიდობის ბედი არა მარტო ევროპის კონტინენტზე, არამედ მთელ მსოფლიოშიც. ხალხები კანონიერ შეშფოთებას იჩენენ, როცა ხედავენ, რომ საერთაშორისო აგრესიული წრეები სასწრაფო წესით აღორძინებენ ბონის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გერმანიის მილიტარიზმს და ცდილობენ შექმნან ევროპის ცენტრში ომის ახალი კერა.

დასკვნებს, რომლებიც გამოიტანა სესიამ ამ საკითხის განხილვის დროს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სესიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ, მაშინ როცა კორეასა და ინდოჩინეთში ომის დამთავრამ, აგრეთვე „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ პროექტის უარყოფამ მთელ მსოფლიოს მისცა იმედი, რომ გადაუწყვეტელი საერთაშორისო საკითხები მოწესრიგდება მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის, ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი ხალხებს აყენებენ ახალი მრისხანე საფრთხის წინაშე: ჰიტლერული ვერმახტის აღდგენა — ასეთია მიზანი ამ შეთანხმებებისა, რომლებიც აძლიერებენ ახალი, კიდევ უფრო გამანადგურებელი ომის საფრთხეს.

მშვიდობისმოყვარე ხალხთა წინაშე ამ ვითარებაში მდგომი ამოცანები უაღრესად ნათელია. „ხალხებმა, — აღნიშნავს მშვიდობის მსოფლიო საბჭო, — წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას“.

ხალხებისადმი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაში გამოთქმულია სურვილი დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება ოთხ სახელმწიფოს შორის გერმანიისა და ავსტრიის საკითხებზე. ამავე დროს მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოითხოვს დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება ევროპის ყველა სახელმწიფოს შორის, მიუხედავად მათი წყობილებისა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი უშიშროება და საერთო კეთილდღეობა ყველას თანამშრომლობის გზით.

სავსებით უეჭველია, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ფართოდ გამოეხმაურება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი. „ აროვითარ მთავრობას, არავითარ პარლამენტს უფლება არა აქვს გადაწყვიტოს ხალხის ბედი მისი ნების წინააღმდეგ, — ნათქვამია მიმართვაში. — ხალხები არავის არ მისცემენ ნებას ჩაიდინოს გამოუსწორებელი რამ. ისინი არ დაუშვებენ გერმანიის ხელახლა შეიარაღების განხორციელებას და თავიანთი ერთობლივი მოქმედებით გზას გაუხსნიან ევროპის უშიშროებასა და მთელი მსოფლიოს მშვიდობას“.

ამასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებას განიარაღებისათვის და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისათვის მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლის შესახებ.

გაიხსენეთ რა, რომ ხალხთა ბრძოლამ ატომური იარაღის აკრძალვისათვის ხელი შეუშალა კორეასა და ინდოჩინეთში ატომური ბომბების გამოყენებას და რომ მშვიდობისმოყვარე ძალების მოქმედების შედეგად ეს ომები შეწყდა, მშვიდობის მსოფლიო საბჭო გაფრთხილებას იძლევა: „მაგრამ დღეს ჩვენ კვლავ ვდგავართ ომის საფრთხის წინაშე, რომელსაც წარმოშობს ის, რომ აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას და განუწყვეტლივ ავითარებენ მასობრივი მოსპობის სულ უფრო დამანგრეველ საშუალებებს“.

მშვიდობის მსოფლიო საბჭომ კმაყოფილებით აღნიშნა ის პროგრესი, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიაღწია განიარაღებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხთა განხილვაში, და სამართლიანად განაცხადა, რომ არსებობს ამ საკითხებში შეთანხმების შესაძლებლობა. „მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოთა მისწრაფება — ხელახლა შეიარაღონ დასავლეთი გერმანია და შეიყვანონ იგი სამხედრო ბლოკში ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა ფარგლებში, ძირს უთხრის ლონისძიებებს, რომელთა მიზანია განიარაღების განხორციელება, და საფრთხეს უქმნის უკვე მიღწეულ შედეგებს“.

მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მოუწოდა ხალხებს ყველგან და ყოველთვის მოითხოვონ შეიარაღების საყოველთაო შემცირება, მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვა და მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესება. ამავე დროს მან მოუწოდა მთავრობებს, ამ მიზნის მიღწევის გზაზე პირველი ეტაპის სახით დაუყოვნებლივ შეთანხმდნენ იმაზე, რომ აიკრძალოს ატომური და წყალბადის ბომბების ყველა ექსპერიმენტული აფეთქება და უარი თქვან, რომ ატომგულის იარაღი გამოიყენონ რაიმე საბაბით.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა მსოფლიო მოძრაობაა. საფრთხე, რომელიც მშვიდობას ემუქრება ერთ რაიონში, ძირს უთხრის ყველა ქვეყნის ხალხთა უშიშროებას. ამიტომ ბუნებრივია, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ხელიმ დიდი ყურადღება მიაქცია იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ამჟამად აზიის სხვადასხვა ნაწილში, დამოკიდებულ და ნახევრადდამოკიდებულ ქვეყნებსა და ლათინურ ამერიკაში.

ხალხთა წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს ინდოეთისა და ჩინეთის პრემიერ-მინისტრების დეკლარაციაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს: ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემას; თავდაუსხმელობას; სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობას; თანასწორუფლებიანობასა და ურთიერთსარგებლობას; მშვიდობიან თანაარსებობას. აღნიშნა რა, რომ პრინციპებს, რომლებიც ჩამოყალიბეს ინდოეთისა და ჩინეთის მთავრობებმა, მხურვალედ გამოეხმაურნენ აზიისა და მთელი მსოფლიოს ხალხები, მშვიდობის მსოფლიო საბჭომ ხაზგასმით განაცხადა: „ამ ხუთმა პრინციპამ არა მარტო საფუძველი ჩაუყარა აზიის მშვიდობასა და კოლექტიურ უშიშროებას, არამედ ამასთანავე ამ ხუთი პრინციპის მიღება საფუძველს ჩაუყრიდა ყველა ქვეყნის მშვიდობიან თანაარსებობასა და მეგობრულ ურთიერთობას“.

მაგრამ ომის გამჩაღებლები ყველა ღონისძიებით ცდილობენ ხელი შეუშალონ აზიის ხალხთა ერთიანობისა და სოლიდარობის განმტკიცებას. ისინი ქმნიან აგრესიულ ბლოკებს, აწყობენ სამხედრო პროვოკაციებს, ერევიან აზიის ქვეყნების საშინაო საქმეებში. ასეთ ვითარებაში მშვიდობის მსოფლიო საბჭომ აზიისა და ყველა ქვეყნის ხალხებს მოუწოდა უზრუნველყონ მშვიდობა და კოლექტიური უშიშროება ხუთი პრინციპის საფუძველზე; წინააღმდეგობა გაუწიონ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის აგრესიული ბლოკის შექმნის ცდებს და ჩაშალონ ამ პროექტის განხორციელება; მოითხოვონ, რომ შეწყდეს უცხოეთის ბატონობა და ჩარევა აზიის ყველა რაიონში და მოისპოს იქ უცხოეთის სამხედრო ბაზები; მოითხოვონ უცხოეთის ინტერვენციის შეწყვეტა ჩინეთის ტერიტორია ტაივანზე (ფორმოზა) და მოითხოვონ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ თავისი კანონიერი ადგილი დაიკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში; მოითხოვონ, რომ გაანხლდეს მოლაპარაკება კორეის საკითხზე და ზუსტად დაცულ იქნას ინდოჩინეთში დაზავების პირობები; წინააღმდეგობა გაუწიონ იაპონიის რემილიტარიზაციას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესიამ დიდი ყურადღება მიაქცია მდგომარეობას, რომელიც ლათინური ამერიკის ქვეყნებში შეიქმნა ერების საშინაო ცხოვრებაში უცხოეთის ჩარევის შედეგად. მან აღნიშნა, რომ პირობები, რომლებშიც ამჟამად ეს ქვეყნები იმყოფებიან, წარმოადგენენ დაბრკოლებას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. საქმე ეხება იმას, რომ „პაქტებისა და შეთანხმებების საფარით, რომელთა მიზანი თითქოს იყოს ამერიკის კონტინენტის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფა, ლათინური ამერიკის ქვეყნებში ძლიერდება ერთი სახელმწიფოს უპირატესობა, რომლის ჩარევა ამ ქვეყნების ცხოვრებაში იმის ფაქტორია, რომ არ არსებობს საყოველთაო უშიშროება“. ლათინური ამერიკის ქვეყნების თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა თავიანთ გამოსვლებში დამაჯერებლად ცხადყვეს, რომ საქმე ეხება ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევას ლათინური ამერიკის ქვეყნების ცხოვრებაში.

გადაჭრით დაგმეს რა ამერიკელი იმპერიალისტების ეს მოქმედება, სესიის მონაწილეებმა ერთსულოვნად გაიოთქვეს რწმენა, რომ „მხოლოდ ამერიკის კონტინენტის ხალხთა შორის თანამშრომლობის გზით თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე ლათინური ამერიკის ხალხებს შეუძლიათ მიაღწიონ აყვავებას და უშიშროების განმტკიცებას“.

ფართო საზოგადოებრივი და პოლიტიკური წრეების ყურადღება არ შეიძლება არ მიიპყროს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებამ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქმნა დამოკიდებულ და ნახევრადდამოკიდებულ ქვეყნებში უცხოეთის ზეგავლენისა, სამხედრო ბლოკებისა და კოალიციების სისტემის შედეგად. მშვიდობის მსოფლიო საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უცხოელთა ჩარევა ნახევრადკოლონიური ხალხების საშინაო საქმეებში, ამ ხალხთა ქვეყნების შეყვანა აგრესიულ პაქტებში, უცხოეთის სტრატეგიული ბაზების შექმნა მათს ტერიტორიებზე აძლიერებს დაძაბულობას საერთაშორისო ურთიერთობაში.

მშვიდობის მსოფლიო საბჭომ დაგმო ხალხთა საშინაო საქმეებში უცხოელთა ჩარევა, რაც სხვადასხვა ფორმით ხორციელდება, და მათთვის სამხედრო პაქტებისა და ბლოკების თავს მოხვევა — თურქეთ-პაკისტანის პაქტი, ახლო აღმოსავლეთის პაქტი და სხვ.

ამრიგად, მშვიდობისმოყვარე ხალხთა წარმომადგენლებმა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სტოკჰოლმის სესიაზე განიხილეს მნიშვნელოვანი საკითხები და მიიღეს გადაწყვეტილებანი, რომლებიც ხალხთა ქმედით იარაღად გადაიქცევიან მათს ბრძოლაში მშვიდობისათვის, საერთაშორისო უშიშროებისათვის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ეს გადაწყვეტილებანი დარაზმავენ მშვიდობისათვის მილიონობით მებრძოლს კონკრეტული და ნათელი მიზნების მისაღწევად, რომელთა განხორციელება შესაძლებელია. მშვიდობისათვის მოძრაობის მდიდარ გამოცდილებაზე დაყრდნობით სესიამ აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაფართოდეს მასობრივი მუშაობა თვითეული ქვეყნის კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით.

„ახლოლოდ თვით ხალხების მძლავრ მოძრაობას, — ნათქვამია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებაში მშვიდობისმოყვარე ძალების წარმომადგენელთა მსოფლიო ასამბლეის მოწვევის შესახებ, — შეუძლია ხელი შეუშალოს ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ბლოკებად მსოფლიოს გათიშვას, არ დაუშვას იმ არმიების აღორძინება, რომლებმაც წარსულში უკვე მოუტანეს ადამიანებს ესოდენ გვარი ცრემლი და მწუხარება, და გათავისუფლოს კაცობრიობა სამხედრო ხარჯების მძიმე ტვირთისაგან. მხოლოდ ამ მძლავრ მოძრაობას შეუძლია უზრუნველყოს სახელმწიფოთა თანამშრომლობა მათი კეთილდღეობისათვის, მათი დამოუკიდებლობისა და საერთო უშიშროების შენარჩუნებისათვის“.

საბჭოთა ხალხი მიესალმება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებებს. როგორც ყოველთვის, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მხარდამხარ საბჭოთა ადამიანები იბრძოლებენ ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. საბჭოთა ხალხი დარწმუნებულია, რომ მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების გზა გახსნილია. კაცობრიობის ამ დიადი მიზნის მიღწევა დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა თვით ხალხთა ნებაზე.

„პრავდის“ 27/XI მოწინავე.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის ტრამვაის 50 წლისთავთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშაკები:

1. ავეტიკოვი მიხეილ ყაზარის-ძე — დურგალი.
2. აკოფაშვილი ალექსანდრე ისაკის-ძე — ვაგონის მძღოლი.
3. ანთაძე ვალენტინ მიხეილის-ძე — ტროლეიბუსების მეურნეობის უფროსი.
4. ბაბუციძე ივანე გიორგის-ძე—ელექტრომონტიორი.
5. ბარსეგოვი ვართან ავეტისის-ძე — ხაზის ზეინკალი.
6. ბულგაკოვი იბრაგიმ რახშანის-ძე — ვაგონის მძღოლი.
7. ბოჩკოვი ვლადიმერ კირილეს-ძე — სამეჯდელო საამქროს უფროსი.
8. ბეჟანოვი ტიგრან სიმონის-ძე — ვაგონის მძღოლი.
9. გაგლოევა ელენე ალექსანდრეს ასული — ვაგონის მძღოლი.
10. გიორგობიანი გაიოზ იასონის-ძე — მოძრავი შემადგენლობის სამსახურის უფროსი.
11. გელეტაშვილი ივანე მიხეილის-ძე — ვაგონის მძღოლი.
12. დავიდოვი გიორგი ივანეს-ძე — მოძრაობის სამსახურის უფროსი.
13. დავითაშვილი ბარბალე ალექსის ასული — საქმეთა მმართველი.
14. ეგოროვი ვასილ იაკობის-ძე — საიარაღო საამქროს უფროსი.
15. ზედგენიძე იასონ ივანეს-ძე — ზეინკალი.
16. თედეიშვილი სპირიდონ გაბრიელის-ძე — მარშრუტის უფროსი.
17. თოდრია ქსენოფონტე ანტონის-ძე — სატვირთო სამსახურის უფროსი.
18. ივანოვი იაკობ გიორგის-ძე — ცვლის ოსტატი.
19. კიკნაძე კონსტანტინე პავლეს-ძე — ზეინკალი.
20. კორნიეევი ათანასე სტეფანეს-ძე — ზეინკალი.
21. კრიტიანი ამალია ორამის ასული — ელექტრომეურნეობის სამსახურის უფროსის მოადგილე.
22. კუნდუხაშვილი თეიმურაზ ადამის-ძე — ზეინკალი.
23. ლიტვინოვა ანა სტეფანეს ასული — ტროლეიბუსის მძღოლი.
24. ლომაჩოვი სერგი პავლეს-ძე — ავტომანქანის მძღოლი.
25. მარგალიტაძე აბესალომ იორდანეს-ძე — ტროლეიბუსის მძღოლი.
26. მანდენაშვილი მიხეილ მიხეილის-ძე — პარტიული კომიტეტის მდივანი.
27. მიტროფანოვა ეკატერინე ივანეს ასული — ტროლეიბუსის მძღოლი.
28. მიროშნიჩენკო ანა ივანეს ასული — — დამხვევი.
29. მშვიდობაძე გიორგი იოსების-ძე — სამმართველოს უფროსი.
30. მჭედლოვი გრიგოლ ალექსის-ძე — ელექტრომონტიორი.
31. ნემსაძე გიორგი ივანეს-ძე — მჭედელი.
32. ოვჩინიკოვი პროხორ ემელიანის-ძე — ვაგონის მძღოლი.
33. პაპავა გრიგოლ კონდრატის-ძე — ზეინკალი.
34. პეტროსიანი არაქელ არუთინის-ძე — ბრიგადირი.
35. რადოში ნიკოლოზ პავლეს-ძე — ბრიგადირი.
36. რობვაძე გრიგოლ ონიფანტეს-ძე — სახელოსნოების უფროსი.
37. სოროკინა მარიამ გიორგის ასული — კონდუქტორი.
38. სებისკვერაძე მარიამ იასონის ასული — კონდუქტორი.
39. სიმონიანი ვაგან გრიგოლის-ძე — ზეინკალი.
40. ტამილინა პრასკოვია მიხეილის ასული კონდუქტორი.
41. ურთკმელიძე მიხეილ პეტრეს-ძე — ელექტრომეურნეობის სამსახურის უფროსი.
42. ქაჯაია ალექსანდრე პარმენის-ძე — სამმართველოს მთავარი ინჟინერი.
43. ქსოვრელი სტეფანე სერგის-ძე — საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე.
44. ღარიბაშვილი ნიკოლოზ სამსონის-ძე — მოძრაობის სამსახურის უფროსის მოადგილე.
45. ყველაშვილი გრიგოლ გიორგის-ძე — ამწყობი ზეინკალი.
46. შანდურსკაია მარიამ ივანეს ასული — კონდუქტორი.
47. შევარდნაძე არჩილ ილიას-ძე — მარშრუტის უფროსი.
48. ჩიხაშვილი თამარ ეფრემის ასული — ვაგონის მძღოლი.
49. ცხვედაძე რევაზ მიხეილის-ძე — ბრიგადირი.
50. ხორხელი ვასილ ანდრიას-ძე — დურგალი.
51. ჯაფარიძე პლატონ ლუარსაბის-ძე — მთავარი ბუხჰალტერის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი. 1954 წლის 26 ნოემბერი.

მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის

ძლიერდება სააგიტაციო მუშაობა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქში გაჩაღდა მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის. 3.000-ზე მეტი აგიტატორი განუწარტავს მშრომელებს არჩევნების დებულებას, სსრ კავშირის კონსტიტუციას, ესაუბრება მათ იმ მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებების შესახებ, რომლებიც საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა.

საავტომობილო ქარხნის საამქროებში არჩევნებთან დაკავშირებით დამატებით გამოიყო 80-მდე აგიტატორი. № 1 საიარაღო საამქროში აგიტატორებმა გ. სირბილაძემ, ნ. ლომთათიძემ, გ. ხობუამ უკვე გამართეს არჩევნებისადმი მიძღვნილი პირველი საუბრები. საამქროს პარტორგანიზაციის მდივანმა შ. როგავამ მოაწყო აგიტატორთა თათბირი არჩევნების პერიოდში საგიტაციო მუშაობის ამოცანების შესახებ.

აგიტატორები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან დიასახლისთა შორის. ცხაკაიას ქუჩის მეორე შესახვევის მცხოვრებლებს აგიტატორმა გ. კვირიკაძემ გააცნო არჩევნების დებულება, უამბო მათ სოციალისტურ სახელმწიფოში სახალხო სასამართლოს როლისა და მნიშვნელობის შესახებ.

იმართება სახალხო მოსამართლეთა ანგარიშგება. თავისი ამომრჩევლების წინაშე ასეთი ანგარიშგებით გამოვიდა პირველი უბნის სახალხო მოსამართლე ა. იობიძე.

ქალაქში შეიქმნა სახალხო სასამართლოების არჩევნების 5 საარჩევნო ოლქი და 41 საარჩევნო პუნქტი. უკვე მიმდინარეობს ამომრჩეველთა სიების შედგენა.

მშრომელები სწავლობენ არჩევნების დებულებას

ახალციხე. (საკ. კორ.). რაიონში ფართოდ გაიშალა მუშაობა სახალხო სასამართლოების არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისათვის. მოეწყო ზირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა და აგიტატორთა რაიონული თათბირი. არჩევნებისათვის მზადების პერიოდში საგიტაციო მუშაობის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ჩიკვილაძემ.

რაიონის მშრომელები გულდასმით სწავლობენ არჩევნების დებულებას. იმართება საგიტაციო საუბრები, ლექციები. ამ დღეებში, მაგალითად, სოფლების აწყურისა და თისელის კოლმეურნეობებში მოეწყო ლექციები თემებზე: „საბჭოთა საარჩევნო სისტემა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულია“, „სსრ კავშირის კონსტიტუცია“.

რაიონში შექმნილია სახალხო სასამართლოების არჩევნების ორი საარჩევნო ოლქი და 35 საარჩევნო პუნქტი. რაისაბჭოს აღმასკომმა უკვე დაამტკიცა რწმუნებულები საარჩევნო პუნქტებისათვის.

საკოღმეურნეო ელსადგურები მაღალმთიან რაიონებში

იქ, სადაც აჭარის მაღალ მთებს შორის თურქეთის საზღვრისპირა რაიონში მიმოფანტულან პატარა სოფლები რიყეთი, პაქსაძეები, კორტოხი, დანისპარაული, ზეღლეთი და ზოძაური, ამ დღეებში ახალი სასოფლო ჰიდროელექტროსადგურის — რიყეთჰესის ელანთურები აინთო. 1946 წლის შემდეგ ეს უკვე მეშვიდე საკოლმეურნეო ელექტროსადგურია, რომელმაც დენი მისცა ხულოს რაიონის სოფლებს. რიყეთჰესი საქართველოში ასოთხმოცდამეცამეტე საკოლმეურნეო ელსადგურია. იგი მოემსახურება ლენინისა და სტალინის სახელობის კოლმეურნეობებს, სადაც ელექტროფიცირებული იქნება მეჯოველეობის ფერმები, სახერხი, წისქვილი, მარცვლეულის საფშვნელი და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები.

ახალქალაქის რაიონში მოქმედ ელსადგურთა მწყობრში ჩადგა 112 კილოვატის სიმძლავრის ზეტანჰესი. ის დენს მისცემს ოთხ კოლმეურნეობას.

ანუამად საქართველოში მშენებლობის პროცესშია კიდევ 17 სასოფლო ჰიდროელექტროსადგური.

მხატვრული თვითმოქმედების VIII რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე

ოლიმპიადის მესამე დღე... სცენაზეა გორის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ნ. ბახტაძისა და ს. ჭოლოკავას ხელმძღვანელობით. ანსამბლმა მაყურებელს წარუდგინა კარგად მოფიქრებული და დამუშავებული მუსიკალურ-ლიტერატურული მონტაჟი „ხალხთა მეგობრობის კერა“ (მონტაჟის ავტორი ი. ურჯუმელაშვილი).

ხალხური სიმღერებისა და ცეკვების მოხდენილი შესრულებით მაყურებელთა ყურადღება მიიპყრო საგარეჯოს რაიონული კულტურის სახლის თვითმოქმედმა კოლექტივმა (ლტბარი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. მჭედლიშვილი, ქორეოგრაფი ა. ჩიხლაძე).

მოწონება დაიმსახურა ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლმა (ხელმძღვანელი თ. ნიკოლაძე). კარგი იყო „მეშახტეთა სიმღერა“ (ტექსტი და მუსიკა ვაშაკიძის) და თ. ნიკოლაძის მიერ შესრულებული სიმღერა კინოფილმიდან „ჩრიჩინა“.

მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ თიანეთის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის (ხელმძღვანელი ნ. ხაიაური, ქორეოგრაფი ლ. ბადალოვი) გამოსვლას. განსაკუთრებული წარმატებით შესრულდა „სიმღერა უკრაინაზე“ (მუსიკა და ტექსტი ა. ხაიაურის), „ხევსურ ქალთა ცეკვა“ (მუსიკა ქ. ღოღობერიძის), „ქართველ მეომარს“ (შეასრულა ნ. ხაიაურმა), „მწყემსური“ და ცეკვა „ფარიკაობა“.



მხატვრული თვითმოქმედების VIII რესპუბლიკური ოლიმპიადა. სურათზე: 1. რ. ჯიოევა და გ. თედეევი (სტალინირი) ასრულებენ „ნარნარ ცეკვას“. 2. ახალქალაქის რაიონული კულტურის სახლის თვითმოქმედი კოლექტივის გამოსვლა. 3. გ. ჯაფარიძე (ამბროლაური) ასრულებს სიმღერას „სალამი თბილისს“.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა სტალინირის საქალაქო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (სამხატვრო ხელმძღვანელი გ. თედეევი). ანსამბლმა ოსტატურად შეასრულა „ბოთაზი“ (ხალხური, დამუშავებული ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ბ. გალაევის მიერ), „ნარნარი ცეკვა“, ცეკვა „შეჯიბრება“.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა წალენჯიხის რაიონული კულტურის სახლის თვითმოქმედი კოლექტივის (ხელმძღვანელი მ. შელია) გამოსვლამ. მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ ამ კოლექტივის მიერ შესრულებულ სიმღერას „ენგურის ხეობა“ (ხალხური) და ცეკვა „ჯანსულოს“.

თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნიდან მაისაშვილმა კარგად შეასრულა ჩინური ხალხური სიმღერა მაო ძე-დუნზე.

ოლიმპიადაზე მომზადებული გამოვიდნენ ქ. ჭიათურის, წყალტუბოს, მარნეულის, ახალციხის, ლაგოდეხის რაიონების კულტურის სახლებთან არსებული თვითმოქმედი კოლექტივები.

საინტერესო იყო ინდივიდუალური შემსრულებლების გამოსვლა. გ. პაპალაშვილმა (ახმეტა) შეასრულა ხალხური სიმღერა „ქართველი დედა“, ვ. ბიწაძემ (ჭიათურა) — მასხარას სიმღერა მ. ბალანჩივაძის ოპერიდან „დარეჯან ცბიერი“, მხატვრული სტვენის ოსტატმა ი. გოგიჩეიმა (სტალინირი) — ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ შესავალი.

* * *

ოლიმპიადის მეოთხე კონცერტზე მაყურებელთა წინაშე პირველნი გამოვიდნენ ლანჩხუთის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მონაწილეები ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მ. არჯევნიშვილის ხელმძღვანელობით.

ლანჩხუთელებს ცვლიან ყვარლის რაიონის საკოლმეურნეო შრომის მოწინავე ადამიანები. რაიონული კულტურის სახლთან არსებულმა მომღერალთა გუნდმა კომპოზიტორ გ. სვანიძის ხელმძღვანელობით სიმღერებში — „სამშობლო“ (მუსიკა გ. ყარაშვილისა), „სიმღერა კახეთზე“ მოხდენილად გამოხატა კოლმეურნე გლეხობის სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი.

კარგი იყო მაიაკოვსკის რაიონული კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მიერ შესრულებული სიმღერები „მაიაკოვსკი“, „სოფელი ბიჭი ვიყავი“ (მუსიკა შ. ჯოჯუასი, ტექსტი საჯაიასი), „სამგორის ბალში“ (მუსიკა ვ. ჭუმბურიძისა).

ხალხთა ერთიან ოჯახში იფურჩქნება და იზრდება ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური აზერბაიჯანული კულტურა. ოლიმპიადაზე თავიანთი მხატვრული შემოქმედებით მოსულან გარდაბნის რაიონის კულტურის სახლის მომღერალთა აზერბაიჯანული და რუსული გუნდები ა. ალიევისა და ა. ქამბაროვის ხელმძღვანელობით. აზერბაიჯანელმა გუნდმა მაღალი ოსტატობით შეასრულა სიმღერები „ეირანამ“ (მუსიკა ა. თიალათისა), „ჯუჯალარმა“ (მუსიკა გუსეინლისა). რუსულმა მომღერალთა გუნდმა შეასრულა სიმღერები „მშვიდობის მტრედი“ (მუსიკა მოლინელისა), „თავისუფალ საკოლმეურნეო მხრიდან“ (ხალხური).

საბჭოთა ხალხის განუზომელი სიყვარული შშობლიური კომუნისტური პარტიისადმი შშვენივრად გამოსახა ლენტეხის რაონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა სიმღერაში „მადლობა პარტიის“ (მუსიკა ჯ. მეშველიანისა, ტექსტი ა. ონიანისა).

ბოგდანოვკის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელები რ. კარსალიანი და პ. გრიგორიანი) ოლიმპიადაზე კარგი პროგრამით გამოვიდა. განსაკუთრებული მოწონება ხვდა ანსამბლის მიერ შესრულებულ სიმღერას სამშობლოზე (მუსიკა საარუნისა, ტექსტი სარმენისა) და ცეკვებს „სომხეთი“ და „ადეკ, ვიცეკვოთ“.

ოლიმპიადაზე მრავალფეროვანი და შინაარსიანი პროგრამით წარსდგა აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ვ. სადრაძე), რომელმაც კარგად შეასრულა „სიმღერა სტალინზე“ (მუსიკა მ. ჩირინაშვილისა, ტექსტი ნ. დუმბაძისა).

მაყურებელზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა.

ქედის რაიონის ვ. მაიაკოვსკის სახელობის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მიერ შესრულებული სიმღერები — „სალამი სამშობლოს“, „შრომის გმირის სიმღერა“, „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“ და „სიმღერა რუსთავზე“ — მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს.

ოლიმპიადის მეოთხე კონცერტის დასასრულს მაყურებლებს თავისი შემოქ

კომუნისტები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში

ჭიათურის მარგანეცის ცენტრალური გამაუხვეველი ფაბრიკა ყველაზე მძლავრია არა მარტო ჭიათურაში, არამედ საბჭოთა კავშირშიც. იგი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის მოწყობილი. საამაყოა, რომ ფაბრიკა აშენდა და დამონტაჟდა ჭიათურელი ინჟინრების, მექანიკოსების, მემონტაჟეების, მუშების ხელით.

ფაბრიკის კოლექტივი ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებდა დავალებას, აჭარბებდა საპროექტო სიმძლავრეს. მაგრამ წელს, სამეურნეო წლის დასაწყისში ფაბრიკის კოლექტივის წინაშე ახალი ამოცანა დაისახა — გაედიდებინა პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვება. ამ ამოცანის გადასაჭრელად დაიწყო ბრძოლა მეტი მარგანეცისათვის. ბრძოლას კომუნისტები ჩაუდგნენ სათავეში.

ჯერ კიდევ 19 იანვარს პარტიულმა კრებამ ახალი წლის ამოცანებზე იმსჯელა. მოხსენებით გამოვიდა კომუნისტი ინჟინერი ალ. ნოდიებაძე. ახრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს ელექტროტექნიკოსმა ს. ნეფარიძემ, ინჟინერმა მ. შეყლაშვილმა, სახელოსნოს გამგემ შ. მოდებაძემ, ოსტატმა შ. ქავთარაძე და სხვებმა. მათ ბევრი კარგი და საქმიანი წინადადება შემოიტანეს. ფაბრიკაში მომუშავე კომუნისტებმა თავიანთი მოსაზრებანი დადგენილებით გააფორმეს და მეორე დღიდანვე შეუდგნენ მის შესრულებას. ამ საქმეში კომუნისტებმა ფაბრიკის მთელი კოლექტივი ჩააბეს.

კომუნისტი ინჟინრების ა. მოდებაძისა და ირ. კაკაბაძის წინადადებითა და უშუალო მონაწილეობით მადნის გამაუხვებელ მეოთხე და მეექვსე დაზგებთან გამართეს მაღალი სიხშირის დენით მომუშავე სალექი მანქანები. ამ ღონისძიებით პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვება 4-5 პროცენტით გაიზარდა.

კომუნისტების თაოსნობით დაბალი წარმადობის გამაუხვებელი დაზგები შეცვალეს ჭიათურაში დამუშავებული კონსტრუქციის მაღალი წარმადობის დაზგებით, რითაც 50 ტონით გაიზარდა ამ დანადგარებით პირველი ხარისხის მარგანეცის სადღეღამისო გამოშვება. ამ ღონისძიებათა განხორციელებაზე ეუშაობდნენ ინჟინერები ა. მოდებაძე, ი. კაკაბაძე, შ. რიყამაძე, ცვლის მექანიკოსი გ. ცუცქირიძე, ოსტატი ლ. ბურჯანაძე და სხვ.

მართალია, ფაბრიკაში მადნის დანაკარგები მცირე იყო, მაგრამ მადანი ეგრეთწოდებულ „კუდებში“ მაინც იკარგებოდა. ეს საკითხი კვლავ წამოიჭრა, როცა ივნისში პარტიული კრება შრომის ნაყოფიერების ზრდის ღონისძიებათა საკითხს განიხილავდა. ფაბრიკის საათობრივი წარმადობის გადიდებაში ყველაზე „ვიწრო ადგილი“ ნედლი მადნის მომრეცხი მანქანების მცირე წარმადობა იყო. ამიტომ პარტიულმა კრებამ ფაბრიკის კოლექტივის წინაშე ამოცანად სწორედ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა დააყენა.

კომუნისტებმა წარმატებით გადაჭრეს ეს ამოცანაც. ფაბრიკაში დაამონტაჟეს დიდი წარმადობის საფხეკიანი კლასიფიკატორი და ნაღალი სიხშირის სალექი ყუთები. ამ ტექნიკური გაუმჯობესებით მადნის დანაკარგები მინიმუმამდე შემცირდა და სადღეღამისო წარმადობა 100 ტონით გაიზარდა.

ტექნიკური პროგრესისათვის კომუნისტების აქტიური ბრძოლა შესანიშნავ ნაყოფს გვაძლევს. გამოცდილმა მექანიკოსმა, კომუნისტმა შ. რიყამაძემ ამას წინათ საფუძვლიანად გაუმჯობესა შუალედი პროდუქტების გადამმუშავებელი საამქროს მუშაობა, რითაც მკვეთრად შემცირდა მადნის დანაკარგები და გაიზარდა პირველი ხარისხის მადნის გამოშვება.

კომუნისტ გ. მაჭავარიანის წინადადებით მოეწყო საჰაერო-სატაგირო გზის სიგნალიზაცია და ავტომატიზაცია, რითაც ძლიერ შემცირდა გზის მოცდენა, დაჩქარდა მადნის გადაზიდვა.

ტექნიკური პროგრესისათვის შეუნელებლად იბრძვიან ფაბრიკაში მომუშავე კომუნისტები — გ. გურული, ი. ნეფარიძე, გ. ჩუბინიძე, გ. ტყემალაძე, გ. ბეღელაძე, ვ. გაგნიძე და სხვები.

ამ ფაბრიკის კოლექტივისა და მისი კომუნისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ 200-250 ტონით გადააჭარბეს ფაბრიკის სადღეღამისო საპროექტო სიმძლავრეს, ვადამდე შეასრულეს ათი თვის დავალება, 6 პროცენტით გაადიდეს შრომის ნაყოფიერება, ხოლო თვითღირებულების შემცირებით სამშობლოს მისცეს 1.600.000 მანეთის დაგროვება.

ფაბრიკის კოლექტივი ერთსულოვნად გამოეხმაურა მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების კეთილშობილური თაოსნობას, ჩაეხა სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა ხუთწლიანი გეგმა 1955 წლის პირველი სექტემბრისათვის შეასრულოს.

კომუნისტების აქტივობა იმის თავდებია, რომ ფაბრიკის კოლექტივი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით კვლავაც დაუღალავად იბრძოლებს ტექნიკური პროგრესისათვის, საკუთარი ხუთწლიანი გეგმის ყველა ნაზიენებლის მიხედვით ვადამდე შესრულებისათვის.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თბილისის ტრამვაის 50 წელი შეუსრულდა

1904 წლის ნოემბერში თბილისელებმა პირველად ნახეს ტრამვაის ვაგონი, რომელიც ელექტროდენით მოძრაობდა და რომელმაც შემდგომში თანდათან შეცვალა ცხენის ტრამვაი, დრამოკმული „კონკა“.

მას შემდეგ ნახევარმა საუკუნემ განვლო. ამ ხნის განმავლობაში დიდად შეიცვალა, გაიზარდა ჩვენი დედაქალაქი, გაუმჯობესდა და გაიზარდა მისი ტრანსპორტი, კერძოდ, ტრამვაის მეურნეობა, რომელიც საქალაქო ტრანსპორტის კვლავ ყველაზე იაფი და მასობრივი სახეა. ტრამვაელი მუშები დამსახურებულად ამაყობენ თავიანთი შრომის მიღწევებით, განვლილი რევოლუციური ბრძოლების ტრადიციებით. ისინი არაერთხელ გამოსულან ტრამვაის მაშინდელი მეპატრონეების, უცხოელი კაპიტალისტების წინააღმდეგ, არაერთხელ გაუმარჯვნიათ ამ ბრძოლაში და ღირსეულად დაუცავთ თავიანთი უფლებები.

თბილისის ტრამვაი უცხოელ კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ. მათი მთავარი მიზანი, როგორც ყველა ჯურის კაპიტალისტებისა, იყო არა საქალაქო მეურნეობის შემდგომი ზრდისათვის ხელის შეწყობა, მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესება, არამედ მუშების მხეცური ექსპლოატაციით მაღალი კაპიტალისტური მოგების მიღება, გამდიდრება. ამიტომ იყო, რომ მეწარმენი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ტრამვაის მეურნეობის გაუმჯობესების საკითხებს, მოძრავი შემადგენლობის პარკის განახლებას, საჰაერო ქსელის შეკეთებას.

განსაკუთრებული დაქვეითება განიცადა თბილისის ტრამვაის მეურნეობამ საქართველოში მენშევიკების უდღეური ბატონობის წლებში. სულ რამდენიმე, ისიც უმეტესად თითოვაგონიანი ვიწროლიანდაგის ტრამვაის მატარებელი დადიოდა ქალაქში, მაგრამ ვაგონები იმდენად მოშლილი იყო, რომ ძვიანთად თუ გააკეთებდნენ 3-4 რეისზე მეტს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის დაიწყო თავისუფალი შემოქმედებითი ცხოვრების ახალი ხანა, სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობა. მალე მიდგა ჯერი თბილისის საქალაქო მეურნეობის, კერძოდ, ტრამვაის მეურნეობის გაჯანსაღებაზეც. საკირო შეიქნა ძველი, უკვე ამორტაზებული ვაგონების შეცვლა, გაცვეთილი ლიანდაგის განახლება, ელექტრომკვებავი ქსელის გაჯანსაღება.

ყველა ეს სამუშაო მანამდე უმაგალითოდ მოკლე დროში შესრულდა და უკვე 1926 წლისათვის ხაზებზე სამოძრაოდ შესაძლებელი გახდა 140-მდე ვაგონის გამოშვება.

იმ დროის სტატისტიკური ანგარიშებიდან ირკვევა, რომ 1932 წელს 1921 წელთან შედარებით ტრამვაის ლიანდაგების ქსელი გადიდდა 1,8-ჯერ, ხაზებზე გამოშვებულ ვაგონთა რაოდენობა — 4-5-ჯერ, ხოლო მგზავრთა გადაყვანა გაიზარდა 20-ჯერ.

1932 წელს დაიწყო ტრამვაის სალიანდაგო ქსელის რეკონსტრუქცია, ვიწრო ლიანდაგიდან ნორმალურ ლიანდაგად გადაკეთება, რაც 1937 წელს დამთავრდა. 1940 წელისათვის კი თბილისის ტრამვაი სრული გამართულობით მუშაობდა, ლიანდაგთა საერთო სიგრძემ 100 კილომეტრს გადააჭარბა, ხოლო ხაზებზე ყოველდღიურად გამოდიოდა 180 ვაგონი.

1937 წლიდან ტრამვაის ახალი თანაშემწე გამოუჩნდა. ეს იყო ტროლეიბუსი. პირველ წელს ტროლეიბუსის მარშრუტთა სიგრძე 7 კილომეტრს არ-აღემატებოდა, 1940 წლისათვის — 17 კილომეტრს, ხოლო ამჟამად ტროლეიბუსები ქალაქს მომსახურებას უწევენ 38 კილომეტრი სიგრძის მარშრუტებით.

ტრამვაის მეურნეობის ზრდის დასახასიათებლად საკმარისია შემდეგი ცნობების მოყვანა: 1953 წელს მარტო ტრამვაიმ მომსახურება გაუწია 143.895.000 მშრომელს, ტროლეიბუსებმა — 50 მილიონამდე მშრომელს. წელს განვლილ ათ თვეში ტრამვაიმ გადაიყვანა 125.900.000 მეტი მგზავრი, ტროლეიბუსმა — 41.128.000. ამჟამად თბილისში ყოველდღიურად მუშაობს ტრამვაის 255 ვაგონი და 55 ტროლეიბუსი.

ტრამვაისა და ტროლეიბუსის მეურნეობის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის მებრძოლთა ავანგარდში არიან. ისინი მთელი ენერგიით იბრძვიან ახალ მიღწევათა მოსაპოვებლად, ტექნიკური პროგრესისათვის, საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, სრულყოფენ თავიანთ ოსტატობას, ნერგავენ რაციონალიზატორულ წინადადებებს, ითვისებენ ახალ ტექნიკას. აქ ითვისეს ტრამვაის საკონტაქტო ქსელის კონუსური იზოლატორების წარმოება, სატროლეიბუსო და სავაგონო სამუხრუჭო სისტემათა ახალი, გაუმჯობესებული კონსტრუქციის გარსის გამოშვება, გაუმჯობესეს მთელი რიგი დეტალების ტექნოლოგია. ზეინკლებმა ნ. ახუაშვილმა, გ. დათუკიშვილმა, ოსტატებმა — ვ. ეგოროვმა, ს. სავჩენკომ, ინჟინერებმა — ა. ქაჯაიამ, გ. სიხარულიძემ, გ. მუვიდობაძემ, თ. ჩეფხოძემ და სხვა მოწინავე ტრამვაელებმა მრავალი გაუმჯობესება შეიტანეს ვაგონის და ტროლეიბუსის დეტალების დამზადების ტექნოლოგიაში, ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

ტრამვაელებს მტკიცე თანამეგობრობა აქვთ მეცნიერ მუშაკებთან, სხვადასხვა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან და მათთან ერთად მუშაობენ წარმოების მთელი რიგი აქტუალური საკითხების გადასაწყვეტად. ამასთან ტრამვაი-ტროლეიბუსის მეურნეობის მუშაკები დიდ დახმარებას უწევენ თავიანთ საშეფო დიღმის მტს-ს. მათ თავი ისახელეს აგრეთვე ხალხურ თვითმოქმედებაში, სპორტში, საზოგადოებრივ მუშაობაში.

ამჟამად ტრამვაი-ტროლეიბუსის მუშაკთა მთელი კოლექტივი აქტიურად არის ჩაბმული მოსკოვის მოწინავე საწარმოთა ინიციატივით გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მოწინავე ადამიანები ვატმანები და მძღოლები — დ. შუკაიძე, შ. რამიშვილი, ვ. მიტროფანოვა, ა. მარგალიტაძე, ა. ტომილინა, ზეინკლები და ხარატები — გ. მჭედლოვი, გ. ფლეგრიშვილი, ვ. სუხიშვილი, ა. კორნეევი, ინჟინერ-ტექნიკოსები — ვ. ანთაძე, მ. ურთკმელიძე, გ. დავიდოვი, ქ. თოდრია და მრავალი სხვა.

მიღწევებთან ერთად ტრამვაი-ტროლეიბუსის მუშაობას ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი ახასიათებს. საჭიროა მოკლე დროში გამოსწორდეს ეს ნაკლოვანებანი, კიდევ უფრო გაძლიერდეს მუშაობა საწარმოო დავალებათა შესასრულებლად, თბილისის ელექტროტრანსპორტის მუშაობის სანიმუშო სიმაღლეზე დასაყენებლად.

ბ. ღვინიაშვილი.



ერევანი. ლენინის მოედანი. სომხეთის სსრ მთავრობის სახლის ხედი.
ფოტო ა. ვართანოვისა.

ყოველკვირეული საკოლმეურნეო კედლის გაზეთი

სოფელ ჩოჩხათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობა ლანჩხუთის რაიონში ყველაზე დიდია. იგი სოფელში არსებული ხუთი კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა. პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით გასული წლიდან კოლმეურნეობის კედლის გაზეთი **„კომუნიზმის გზით“** კვირაში ერთხელ ხუთ ეგზემპლარად გამოდის. სოფლის ყველა მცხოვრებისათვის რომ ხელმისაწვდომი იყოს, კედლის გაზეთს სოფლის ოთხივე უბანში და კოლმეურნეობის კანტორაში გამოაკრავენ ხოლმე.

„კომუნიზმის გზით“ გახდა პარტიული ორგანიზაციის ნამდვილი თანაშემწე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის ბრძოლაში, ენერგიულად ეხმარება კოლმეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით განხორციელებაში. სარედაქციო კოლეგიების (კედლის გაზეთს ჰყავს ოთხი სარედაქციო კოლეგია) წევრები კარგად ერკვევიან კოლმეურნეობის ეკონომიკაში, რის შედეგად კედლის გაზეთში ფართო ასახვას პოულობს საარტელო მეურნეობის ყველა უბანი.

კედლის გაზეთი „კომუნიზმის გზით“ ყურადღებით ეპყრობა კოლმეურნეობის წამყვანი დარგის — მეჩაიეობის შემდგომ განვითარებას, მკითხველებს მოუთხრობს მოწინავე მეჩაიეთა გამოცდილებაზე, იბრძვის ამ გამოცდილების ყველა ბრიგადასა და რგოლში დანერგვისათვის. მაისის ერთ-ერთ ნომერში გაზეთმა მოათავსა წერილი კოლმეურნეობის მოწინავე, მეშვიდე ბრიგადის მუშაობის მეთოდებზე. ბრიგადის სხვა მიღწევებთან ერთად წერილში აღნიშნული იყო, რომ ერთ თვეში ბრიგადამ მოკრიფა 14.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, რითაც გეგმას მნიშვნელოვნად დააჭარბა. მეშვიდე ბრიგადის ეს წარმატება, მისი მუშაობის გამოცდილება გაზეთმა ყველა ბრიგადისა და კოლმეურნის კუთვნილება გახადა.

მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელების საკითხებზე გაზეთში სისტემატურად წერენ კედლის გაზეთის აქტიური კორესპონდენტები — აგრონომები, ბრიგადირები, მერგოლურები, პარტჯგუფორგები, რიგითი კოლმეურნეები.

კედლის გაზეთში მოთავსებულმა მრავალმა კრიტიკულმა წერილმა დადებითი შედეგი გამოიღო, დაეხმარა გამგეობას ამა თუ იმ ჩამორჩენილი უბნის წინწამოწევაში. 10 ივნისის ნომერში მკაცრად იქნა გაკრიტიკებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის მუშაკები. კედლის გაზეთის კრიტიკული შენიშვნა სპეციალურად განიხილა კოლმეურნეობის გამგეობამ, რომლის ტალონებიც ინიციელების — მედგად ფერმაში მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა.

კედლის გაზეთის კრიტიკული გამოსვლები ხშირად ხდება კოლმეურნეობის გამგეობის და პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მსჯელობის საგანი. მაგალითად, იანვრის, მარტის, ივნისის, აგვისტოს ნომრებში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილები და შენიშვნები სპეციალურად განიხილეს პარტიულმა ბიურომ და კოლმეურნეობის გამგეობამ. გაზეთისათვის ასეთი მხარდაჭერა დიდად უწყობს ხელს სარედაქციო კოლეგიების საქმიანობის გაუმჯობესებას.

კედლის გაზეთს შემოღებული აქვს მუდმივი განყოფილება „ზოგიერთი მოუგვარებელი წვრილმანი“. აქ თავსდება სოფლისა და კოლმეურნეობის საკერძოო საკითხები, „წვრილმანები“, რომელთა მოგვარებას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო წარმატებაში. ამ განყოფილებაში ხშირად ათავსებენ სოფლის ცალკეული უბნებიდან მიღებულ კრიტიკულ შენიშვნებს ბოგირების, სასოფლო გზების, აბანოების, წისქვილების, სოფლის მაღაზიის ავ-კარგზე. კედლის გაზეთის ასეთი შენიშვნები მუდამ აღწევს მიზანს. კოლმეურნეებმა იციან, რომ გაზეთი ბოლომდე მიიყვანს დაწყებულ საქმეს, ამიტომ არის, რომ ისინი ხალისით აწვდიან წერილებს კედლის გაზეთს.

გაზეთის სარედაქციო კოლეგიები, რომელთაგან თვითეულში გაერთიანებულია სამი კაცი, კარგად მუშაობენ. ისინი რიგრიგობით უშვებენ კედლის გაზეთს. ყოველი ნომრის გამოშვების წინ იწვევენ მორიგე სარედაქციო კოლეგიის სხდომას, რომელზეც განიხილავენ, თუ რა თემები უნდა იქნას გაშუქებული ნომერში. სარედაქციო კოლეგიის თვითეულ წევრს მინდობილი აქვს მეურნეობის ესა თუ ის დარგი, რომლის შესახებ ისინი აგროვებენ მასალებს კედლის გაზეთისათვის. ნომრის გამოშვების წინ გამოსაქვეყნებელ მასალებს კითხულობს კოლეგიის ყველა წევრი. სათანადო გასწორების შემდეგ წერილები მრავლდება ხუთ ცალად.

კედლის გაზეთის „კომუნიზმის გზით“ მუშაობა კიდევ უკეთესად წარიმართებოდა, კოლმეურნეობის პარტიული ბიურო უფრო მეტად რომ ეხმარებოდეს მას. წელს კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას ერთხელაც არ განუხილავს გაზეთის მუშაობის საკითხი, არ უმსჯელია მოწინავეთა გამოცდილების შესახებ მოთავსებულ წერილებზე ამ გამოცდილების ფართოდ დანერგვის მიზნით.

ბ. ჩიქვინიძე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„არც ფიცი გვწამს, არც ბოღო გვაკვირვებს“

„კომუნისტის“ 16 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „არც ფიცი გვწამს, არც ბოლო გვაკვირვებს“, რომელიც ეხებოდა აბანო-სამრეცხაოებისა და საპარიკმახეროების ტრესტის ხელმძღვანელების სუსტ მუშაობას, კერძოდ მოქალაქეთა მოტყუების ფაქტებს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში რუსთაველის პროსპექტზე.

როგორც ტრესტის მმართველი ა. ბატიაშვილი გვატყობინებს, დამნაშავეთა მიმართ მიღებულია სათანადო ზომები. საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის გამწმენდი საამქროს მოლარე ს. ფიქაძე მოხსნილია სამუშაოდან, ხოლო გამწმენდი საამქროს გამგეს თ. სვანიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

ხალხთა ძმურ ოჯახში

(სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 34-ე წლისთავის გამო)

შ. არუშანიანი,
სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

შესრულდა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 34-ე წლისთავი. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სომეხ ხალხს, ისევე როგორც ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხს, თავისუფლება და ბედნიერება მოუტანა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სომხეთის მშრომელებმა 1920 წლის 29 ნოემბერს დაამხეს სომეხი ხალხის უბოროტესი მტრების, ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის აგენტების — დაშნაკების სისხლიანი ბატონობა და დაამყარეს თავიანთი მუშურ-გლეხური ხელისუფლება. სომეხ ხალხს ძმური დახმარება გაუწია დიდმა რუსმა ხალხმა. გმირი წითელი არმიის ნაწილები ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი მოღვაწეების ს. მ. კიროვის, გ. კ. ორჯონიკიძისა და ა. ი. მიკოიანის ხელმძღვანელობით მიეშველნენ სომხეთის აჯანყებულ მუშებსა და გლეხებს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დაიწყო ახალი ერა სომეხი ხალხის ისტორიაში, რომელიც დიდ ტანჯვას განიცდიდა დაშნაკთა მოღალატური პოლიტიკით. იგი სამუდამოდ განთავისუფლდა თურქი ოკუპანტებისა და ჯალათებისაგან, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ფეხქვეშ თელავდნენ მის ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

სომეხი ხალხის თავისუფლებას, ეროვნულ და სოციალურ აღორძინებას მიესალმნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი დიდი ლენინი და მისი მოწაფე, მისი საქმის განმგრძობი დიდი სტალინი.

განთავისუფლებული სომეხი ხალხი კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის შედეგად დიდი რუსი ხალხისა და ჩვენი სამშობლოს სხვა ხალხების ძმური დახმარებით საბჭოთა ხალხების ერთიან ოჯახში დაადგა განუხრელი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის გზას, სოციალიზმის გზას.

საბჭოთა სომხეთის, ისევე როგორც ყველა საბჭოთა რესპუბლიკის, სწრაფი აყვავება ადასტურებს, რომ ერთა ნამდვილი თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა განუყრელად დაკავშირებულია ხალხთა ძმურ თანამშრომლობასთან, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებასთან.

ჩვენმა დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა გენიოსმა ლენინმა თავის ცნობილ წერილში კავკასიის კომუნისტებისადმი 1921 წელს, ხაზგასმით აღნიშნა რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში სოციალიზმის მშენებლობის თავისებურებანი, დასახა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაზე მათი გადასვლის კონკრეტული პროგრამა. სომხეთის პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა შრომითს და პოლიტიკურ აქტივობას და დიდი წარმატებანი მოიპოვეს ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის განვითარებაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სომხეთი გადაიქცა სოციალისტური ინდუსტრიისა და საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობის მოწინავე რესპუბლიკად. სომხეთში შეიქმნა თანამედროვე მძლე ინდუსტრია, სწრაფად განვითარდა მსხვილი მრეწველობა. რესპუბლიკას აქვს მაღალგანვითარებული ქიმიური და ელექტრომრეწველობა, ჩარხმშენებელი და მეტალურგიული საწარმოები. სწრაფად იზრდება სამთო მრეწველობა. დიდი მუშაობაა გაჩაღებული რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა შემდგომი შესწავლისა და გამოყენებისათვის.

ომისშემდგომ წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცემულია რამდენიმე ათეული მსხვილი საწარმო. სომხეთის ქარხნები და ფაბრიკები ამჟამად უშვებენ ალუმინს, გენერატორებს, მოძრავ ელექტროსადგურებს, კაბელს, ტრანსფორმატორებს, ჰიდროტურბინებს, კომპრესორებს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, ტრაქტორისა და ავტომობილის სათადარიგო ნაწილებს, საათებს, ელექტროსაზომ ხელსაწყოებს, საშენ მასალებს, შალისა და აბრეშუმის ქსოვილებს, ფეხსაცმელს, სასურსათო საქონელსა და სახალხო მოხმარების ბევრ სხვა ნაწარმს.

რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქცია 1953 წელს 1950 წელთან შედარებით 47,7 პროცენტით გადიდდა, ხოლო 1954 წლის გეგმა 1940 წლის დონეს 4.5-ჯერ გადააჭარბებს. რესპუბლიკის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გეგმა მიმდინარე წლის 10 თვის მანძილზე 101,2 პროცენტით შეასრულა.

ახორციელებენ რა დიდი ლენინის ანდერძს, სომხეთის მშრომელებმა რესპუბლიკა დაფარეს დიდი და მცირე ჰიდროელექტროსადგურების ფართო ქსელით.

1953 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა სევან-რაზდანის კასკადის სისტემის უდიდესი ჰიდროელექტროსადგური — გიუმუშის ჰესი, რომლის ამუშავებით რესპუბლიკის ელექტროსადგურების სიმძლავრე 2,3-ჯერ გადიდდა. ამჟამად მიმდინარეობს მთელი რიგი სხვა სადგურების მშენებლობა.

ახორციელებს რა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების შესახებ, რესპუბლიკის მსუბუქი და კვების მრეწველობა აფართოებს თავისი პროდუქციის გამოშვებას.

მიმდინარე წელს 1953 წელთან შედარებით შალის ქსოვილების წარმოება გადიდდა 139 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილებისა — 61 პროცენტით. ამჟამად შენდება ფართო მოხმარების საგნებისა და კვების პროდუქტების მთელი რიგი საწარმოები.

ყველა ეს წარმატება რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკთა — მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების შრომითი გმირობისა და შემოქმედებითი ინიციატივის შედეგია. მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მომავალშიც დაუცხრომლად იბრძოლონ იმ დიდი ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სომეხმა ხალხმა დიდი წარმატებები მოიპოვა სოფლის მეურნეობის დარგში. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რიცხვი რესპუბლიკაში 60-ს აღწევს. საკოლმეურნეო მინდვრებში მუშაობს ათასობით ტრაქტორი, კომბაინი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა. კოლმეურნეობათა 95 პროცენტს ემსახურებიან მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. ახლა მექანიზატორები ახორციელებენ 90 სახეობის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს. რესპუბლიკის 80-ზე მეტი კოლმეურნეობა ელექტროფიცირებულია.

რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობა იბრძვის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის, ჩვენს ქვეყანაში სასურსათო პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის. ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და საკოლმეურნეო წარმოების ცალკეული დარგების განვითარების საქმეში.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატებანი ფართოდ იქნა დემონსტრირებული სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, რომელშიც მონაწილეობდა სომხეთის 103 მოწინავე კოლმეურნეობა, მეცხოველეობის ფერმა, მტს-ი და საბჭოთა მეურნეობა.

განუხრელად უმჯობესდება რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. ისინი ყოველდღიურად გრძნობენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდეს ზრუნვას საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის.

1954 წელს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალდაბანდებათა მოცულობა საბინაო მშენებლობაში. წელს მწყობრში ჩადგება 102 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობა ფართოდ გაჩაღდა ერევანში, ლენინაკანში, კიროვაკანში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სოფლებში.

მნიშვნელოვანია საბჭოთა ხომხეთის მიღწევები ხალხის ჯანმრთელობის დაცვის დარგში. 1913 წელთან შედარებით საავადმყოფოთა რიცხვი 31-ჯერ გადიდდა. ჯანმრთელობის დაცვისათვის ბიუჯეტის ასიგნობანი 1953 წელს 1940 წელთან შედარებით დაახლოებით ერთისამად გაიზარდა.

სწრაფად ვითარდება სომეხი ხალხის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. საბჭოთა ხომხეთი წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყანა გახდა. რესპუბლიკაში არ არის ისეთი დასახლებული პუნქტი, რომელსაც არა ჰქონდეს სკოლა. სახელმწიფო ბიუჯეტის 45 პროცენტს შეადგენს ასიგნობანი სახალხო განათლების საჭიროებისათვის.

სომეხი ხალხის კულტურული აღმავლობის ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელია რესპუბლიკაში უმაღლესი განათლების განვითარება. ამჟამად საბჭოთა ხომხეთშია 12 სტაციონარული უმაღლესი სასწავლებელი. მარტო სტაციონარულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 13 ათასზე მეტი სტუდენტი.

ნაყოფიერად შრომობენ რესპუბლიკის მეცნიერები. ისინი თავიანთ ძალღონეს ახმარენ სახალხო მეურნეობის განვითარების აქტუალური ამოცანების გადაწყვეტას. სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემია თვალსაჩინო სამეცნიერო დაწესებულება გახდა. რესპუბლიკაში მუშაობს რამდენიმე ათეული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და სხვა სამეცნიერო დაწესებულება.

რესპუბლიკაში იზრდება და ვითარდება ლიტერატურა და ხელოვნება. საბჭოთა ხომხეთი დაფარულია თეატრების, კინოების, კულტურის სასახლეების, კლუბების, ბიბლიოთეკების, მუზეუმებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ფართო ქსელით. გამოდის რამდენიმე ათეული რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთი და ჟურნალი. სომხეთში ყოველწლიურად საშუალოდ 500 სახელწოდების წიგნი იცემა ოთხი მილიონი ცალი საერთო ტირაჟით.

სომხეთის მშრომელები აქტიურად იბრძვიან კომუნიზმის აგების იმ პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც დასახა კომუნისტურმა პარტიამ. წარმატებით ახორციელებენ რა ამ პროგრამას, საბჭოთა ადამიანები ზრდიან დიადი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას, განამტკიცებენ მშვიდობის საქმეს, უზრუნველყოფენ ყველა მისი ხალხის აყვავებას.

სომეხი ხალხი საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთსულოვან, ძმურ ოჯახში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ მიდის წინ — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

სოხუმი. (საკ. კორ.). გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხი „იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობისა და აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ“. მოხსენება გააკეთა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. თ

ანტონ რუბინშტეინი

დაბადების 125 წლისთავის გამო

125 წელი შესრულდა მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის, დიდი საზოგადო მოღვაწისა და ბრწყინვალე პიანისტის ა. გ. რუბინშტეინის დაბადებიდან.

ანტონ გრიგოლის-ძე რუბინშტეინი დაიბადა 1829 წლის 28 ნოემბერს დაბა ვიხვატინეცში, ბესარაბიის საზღვარზე. მუსიკალური განათლება ადრე, ჯერ კიდევ ბავშვობაში მიიღო. ათი წლისა უკვე საკონცერტო ესტრადაზე გამოდის რთული პროგრამით როგორც პიანისტი. 1840 წლის ბოლოს ა. რუბინშტეინი გაემგზავრა საზღვარგარეთ, პარიზის კონსერვატორიაში შესასვლელად, მაგრამ ეს მიზანი ვერ განახორციელა. სამაგიეროდ ახალგაზრდა პიანისტი წარმატებით გამოდის კონცერტებით დასავლეთ ევროპის დიდ მუსიკალურ ცენტრებში. მისი უდიდესი ნიჭი აღნიშნეს გამოჩენილმა მუსიკოსებმა შოპენმა და ლისტმა.

1843 წელს ბერლინში გამოდის ა. რუბინშტეინის პირველი საფორტეპიანო ეტიუდი, რომელმაც შუმანის დიდი მოწონება დაიმსახურა. სამი წლის მოგზაურობის შემდეგ იგი ბრუნდება რუსეთში, მაგრამ მალე კვლავ ტოვებს მას. ჯერ ცხოვრობს ბერლინში, სადაც ხშირად ხვდება მენდელსონს და გაკვეთილებს იღებს გლინკას მასწავლებელ დენისთან, შემდეგ მიდის ვენაში, მეცადინეობს, წერს ახალ კომპოზიციებს, იღრმავებს ცოდნას.

1848 წლის რევოლუციამ ა. რუბინშტეინზე დიდი გავლენა მოახდინა. 40 წლის შემდეგ იგი წერდა: „ჩემი ცხოვრება იყოფა ორ ეპოქად: 1848 წლამდე და მის შემდეგ... ეს ორი სხვადასხვა ეპოქაა“.

20 წლის ჭაბუკი ბრუნდება სამშობლოში. რუბინშტეინი ამ დროს უკვე ბრწყინვალე პიანისტ-ვირტუოზად გვევლინება. მაგრამ მას ესტრადა იმდენად არ აინტერესებს, გატაცებულია რუსეთში მუსიკალური განათლებისა და კულტურის მტკიცე საფუძვლების დაწერგვით.

1859 წელს ა. რუბინშტეინმა მიაღწია იმას, რომ რუსეთში ჩამოყალიბდა სამუსიკო საზოგადოება, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ დაარსდა რუსეთში პირველი კონსერვატორია — პეტერბურგისა. მალე დაარსდა მოსკოვის კონსერვატორიაც.

1867 წელს რუბინშტეინი ტოვებს რუსეთის სამუსიკო საზოგადოების დირექტორისა და პეტერბურგის კონსერვატორიის დირექტორის პოსტებს და თანლიანად უბრუნდება პიანისტურ მოღვაწეობას, რომელიც მისი უდიდესი ნიჭისა და დიდი შრომისმოყვარეობის მეოხებით უმაღლეს მწვერვალს აღწევს. თავისი საკონცერტო მოგზაურობის დროს მან მოიარა რუსეთის ქალაქები და ევროპის ქვეყნები, სადაც დიდი სახელი მოიხვეჭა. 1872-73 წლებში ა. რუბინშტეინმა სახელგანთქმულ მეგიოლინე გენრიხ ვენიავსკისთან ერთად ამერიკაში 215 კონცერტი გამართა.

დიდი რუსი კომპოზიტორი პ. ი. ჩაიკოვსკი თავისი მასწავლებლის ა. გ. რუბინშტეინის შესახებ წერდა: „განა შემიძლია თავი შევადარო მას? ის ხომ პირველი თანამედროვე პიანისტია, უდიდესი ვირტუოზი...“

ინტენსიურ და ნაყოფიერ საშემსრულებლო, სადირიჟორო-პროპაგანდისტულ და კულტურულ-ორგანიზატორულ მუშაობას ა. რუბინშტეინი მეტად დაძაბულ და მრავალფეროვან შემოქმედებითს მუშაობასთან ათავსებდა.

ა. რუბინშტეინი

* * *

როგორც კომპოზიტორი ა. რუბინშტეინი მეტად ნაყოფიერი იყო. მან დაწერა 16 ოპერა, 2 ორატორია, 6 სიმფონია, რამდენიმე სიმფონიური ნაწარმოები, 5 კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 20-ზე მეტი კამერულ-საინსტრუმენტო ნაწარმოები (კვინტეტები, კვარტეტები, ტრიო, სონატები და სხვ.), საფორტეპიანო ნაწარმოებები, რომანსები.

რუბინშტეინი იქლევა კომპოზიტორის შრომისადმი წმინდა პროფესიული დამოკიდებულების, ოსტატობის ყოველმხრივ განვითარების, მკაცრი შემოქმედებითი დისციპლინისა და ორგანიზებულობის მკაფიო მაგალითს. რუბინშტეინის მუსიკალური აზროვნების მაღალმა, კონკრეტულმა და ჩამოყალიბებულმა ლოგიკურმა დასკვნებმა დიდი აღმზრდელობითი გავლენა იქონია რუსული სიმფონიზმის ახალ, გამოჩენილ წარმომადგენლებზე ჩაიკოვსკისა და ტანეევზე.

ეჭვს გარეშეა, რომ რუბინშტეინის უმდიდრეს მუსიკალურ მემკვიდრეობაში ოპერა „დემონი“ ყველაზე ძლიერი ნაწარმოებია. „დემონი“ რუსეთის დიდ საოპერო ფონდში შევიდა როგორც თავისებური ხასიათისა და სტილის ლირიკული ოპერა. მას დგამენ აგრეთვე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

რუბინშტეინი „დემონმა“ საქართველოში ჩამოსვლის დღიდანვე გაიტაცა, თუმცა ამ ოპერის შექმნის იდეა მანამდეც ჰქონდა. საქართველოში ჩამოსვლისას კომპოზიტორმა საბოლოოდ გადაწყვიტა „დემონის“ საოპერო ფაბულა საქართველოს პირობებისათვის შეეხამებინა.

კავკასიის მთებმა, მყინვარმა, მშფოთვარე თერგმა, კაიმაურის ველმა და არაგვის ულამაზესმა ხეობამ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს. ქართველი ხალხის, ქართული მუსიკის გაცნობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შემოქმედზე. კომპოზიტორმა მ. იპოლიტოვ-ივანოვმა, რომელიც იმ დროს თბილისის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი და თბილისის საოპერო თეატრის წამყვანი დირიჟორი იყო, გააცნო რუბინშტეინს ქართული მუსიკა.

ა. რუბინშტეინმა თავისი ნაწარმოები ქართული მუსიკისადმი დიდი სიყვარულით დაწერა. „დემონში“ გამოყენებულია რამდენიმე ქართული მელოდია „ქალთა გუნდში“ („დავდიეარ, არაგვის პირას“) და ქართული ცეკვის დასაწერად არის აგრეთვე ზოგიერთი ქართული ინტონაცია, რომლებიც მან თავისი გაგებით და საერთო მუსიკალური სტილით გადაწყვიტა. აღსანიშნავია ისიც, რომ ა. რუბინშტეინი საერთოდ ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში კონცერტებით და საქართველოს მუსიკალური ცხოვრებით მუდამ დაინტერესებული იყო.

1871 წელს თბილისში მუსიკის მოყვარულთა ჯგუფმა დააარსა „რუსეთის მუსიკალური საზოგადოების“ კავკასიის განყოფილება, რომლის მიზანი ხალხში მუსიკალური კულტურის შემდგომი განვითარება იყო. ცნობილმა მუსიკალურმა მოღვაწემ ხ. სავანელმა ჩამოაყალიბა სიმღერის მოყვარულთა ქართული გუნდი. 1883 წელს სიმღერისა და ფორტეპიანოს რამდენიმე კლასის შექმნით ჩამოყალიბდა მუსიკალური სასწავლებელი, რომლის დირექტორად მოწვეული იყო კომპოზიტორი ა. მ. იპოლიტოვ-ივანოვი. სასწავლებელს შენობა არა ჰქონდა. ბინის უქონლობა საგრძნობლად აფერხებდა მუსიკალური სასწავლებლის მუშაობას. დადგა სასწავლებლისათვის შენობის აგების საკითხი.

1891 წლის ზაფხულში საქართველოს ეწვია ა. რუბინშტეინი. გაიგო რა სასწავლებლის მდგომარეობა, გადაწყვიტა საქველმოქმედო მიზნით დიდი კონცერტი მოეწყო და მთელი შემოსავალი სასწავლებლის ფონდში შეეტანა შენობის ასაგებად. კონცერტი მოეწყო იმავე წლის 12 აგვისტოს ოპერის თეატრის შენობაში. რუბინშტეინმა შეასრულა ბეთჰოვენის, შოპენის, ლისტის, შუმანის, აგრეთვე საკუთარი ნაწარმოებები. კონცერტს აუარებელი ხალხი დაესწრო, დარბაზი გაჭედილი იყო და სულგანაბული უსმენდა მთელ მსოფლიოში სახელმოხვეჭილი, უბრწყინვალესი პიანისტის დაკვრას. კონცერტის მთელი შემოსავალი რუბინშტეინმა სასწავლებელს გადასცა.

1899 წელს შეძენილ იქნა ნიწის ნაკვეთი გრიბოედოვის ქუჩაზე, სადაც შეუდგნენ შენობის აგებას. მისი გახსნა მოხდა 1904 წლის 24 ოქტომბერს. ახლა იქ ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაა მოთავსებული.

ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, არასოდეს არ დაივიწყებს დიდი რუსი ხალხის ამ ღირსეული შვილის — გამოჩენილი მუსიკოსის, კომპოზიტორის, შემსრულებლისა და საზოგადო მოღვაწის შეაჯინშნავ ღვაწლს და მის სახელს მუდამ დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მოიხსენიებს.

პროფ. შ. მშველიძე.

მოხუცი მწყემსის მოგონება*)

ხბო-ზაქში აღარ მიშვებენ:
ძაან მოხუცდი, ძიაო,
ცოდო ხარ ახლა, მწყემსობა
შენ აღარ შეგიძლიაო.
რა ვქნა, წყურვილი არ კვდება,
თუმც ჯანი შეშომელია,
ველზე ნაჩვევი მწყემსისთვის
ლოგოში წოლა ძნელია.
გამდღვიძება, ვერა ვძლებ,
ყინი მცლავს სისხამ დილისა,
რით მოვიშორო თავიდან
ზმანება მწყემსის ლხინისა!
რომ მოვრეკავდით საქონელს,
სარქალი ჩაიბარებდა,
მოგვიწონებდა მომწყემსვას,
ვახშამზე დაგვიბარებდა.
ხან ფერმის გამგის მოტანილ
ღვინით ერთმანეთს ვლოცავდით,
ხან სოკო გვქონდა, ხან მწყერი,
კურდღლებსაც ხშირად ვხოცავდით.
არ გვაკლდა რძე, ყველ-მაწონი,
ერბო და ტკბილი ხმიადი,
ვვახშობდით, მერე რიგრიგად
ვმორიგეობდით დილამდე.
მყეფრებს ვაჭმევდით თეოზე,
სარქალი ქოხში წვებოდა,
მორიგის გასაღვიძებლად
ფეხზე დროულად დგებოდა.
დანარჩენები საძილედ
წამოწვებოდნენ მოლზედა,
ზოგი ქორწილზე ფიქრობდა,
ზოგიც შვილსა და ცოლზედა.
მახსოვს ანდაზა-ზღაპრები,
სამშობლოს მცველთა შექება,
ნადირის სუნზე ხევგადა
ბოთფერას შემოყეფება.
ტყის პირში გადატეხებულ
მოზარდის შემოძღვალება,
მის დასაცავად ნასვლა და
თოფისთვის ხელის დაგლება.
მგლის მოკვლა, დაგლეჯილ მოზვრის
სვენებით ცეცხლთან მოყვანა,
ხან გარს გვირბენდნენ მეეფრები,
ხან მოცვიოდნენ ქოხთანა.
ასეთი მწვავე შემოხვევა
კიდევ სხვა ბევრი მომხდარა,
მაგრამ სიფხიზლე-მხნეობით
მწყემსი არასდროს მომკვდარა.
ნეტავ თქვენ, ახალგაზრდებო,
ჯანმოუდალელო მწყემსებო,
ფერმის სიუხვის, სამდიდრის,
იმედიანო ფესვებო.
აბა, თქვენ გითმობთ პირუტყვს, მთებს,
ჯოხს, გუდას, ნაბადს, სალამურს,
საბეკოთა ქვეყნის მწყემსობას
მომხიბვლელსა და საამურს.
რატომ ჯეელი არა ვარ?
ეს დრო სად იყო ჩემხობას,
ვაშა პარტიას, გმირობა
რომ მოგვანიჭა მწყემსობას.

მთქმელი **სიკო ჩანგაშვილი.**

ახმეტა.

*) ლექსი წარმოთქმულია საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების VIII ოლიმპიადაზე.

ახალი წიგნები

ნ. ნაკაშიძე — „ლევ ტოლსტოის ახლოს“ (მოგონება). სახელგამი, თბილისი, 1954 წ. რედაქტორი მ. ბაკურაძე, მხატვარი რ. ზედელაშვილი. ტირაჟი 10.000, გვ. 125, ფასი 3 მან. 40 კაპ.

კ. კალაძე — „უკრაინელ მეგობრებს“. საბალტგამი, თბილისი, 1954 წ. რედაქტორი ი. აბაშიძე, მხატვარი ხ. კეცხოველი. ტირაჟი 7.000, გვ. 94, ფასი 3 მან. 70 კაპ.

ხ. იორამაშვილი — „ვერხვის ჭალაში“. საბალტგამი, თბილისი, 1954 წ. რედაქტორი მ. მრეველიშვილი, მხატვარი ხ. ლეჟავა. ტირაჟი 8.000, გვ. 84, ფასი 2 მან. 20 კაპ.

საყურადღებო „წვრილმანები“

ფაქთო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონელი მოსახლეობისთვის

მაღაზიაში, რომელიც ავჭალის მოედნის ახლოს საბჭოს ქუჩაზეა, დილასახლისი შევიდა.

— ნაკთის ლამპა რა ღირს?

— 13 მანეთი და 20 კაპიკი შუშით, ოღონდ უპატრუქოდ!

— შემიხვიეთ!

დილასახლისმა უპატრუქო ლამპა შინ წაიღო, მერე კი ბევრი ინანა. ჯერ-ერთი, პატრუქის შვნა გაუტირდა, ახლო-მახლო კიოსკებში არსად ჰქონდათ და იძულებული გახდა ისევ ქალაქში დაბრუნებულიყო მის შესაძენად. სალამოს მოარგეს ლამპას პატრუქი, ჩაასხეს ნავთი, მოუკიდეს... წუთში შავად გაიკეკარტლა შუშა. გადაკრეს თავი პატრუქს, ხელახლა მოუკიდეს. კვლავ აბოლდა. კიდევ გადაკრეს თავი პატრუქს, მესამედ გაწმინდეს შუშა... არაფერმა უშველა, ბოლავდა... ასეთ ლამპას ულამპობა სჯობსო, დაცინვის კილოთი უსაყვედურეს დილასახლისს შინაურებმა და საბაბიც ჰქონდათ ამის თქმისა...

თურმე მეზობელსაც ეყიდა იმ დღეს ნავთის ლამპა, თბილისგარეთის სხვა მაღაზიაში. უფრო ლამაზი, უფრო ფაქიზად ნაკეთები, შუშით და პატრუქით გაწყობილი, სულ 6 მანეთი და 66 კაპიკი ღირდა, არც ბოლავდა და მშვენივრადაც ანათებდა...

პირველი ლამპა, რომელმაც მთელი სამზარეულო გაკეკარტლა, გაკეთებული და გამოშვებულია თბილისის სარეწაო არტელის „მელითონეს“ მიერ (არტელის თავმჯდომარე ს. თარხანოვი). მეორე, 6 მან. 66 კაპიკიანი, კარგად გაწყობილი ლამპა კი გაკეთებული და ჩამოტანილია კუტაისშევიდან ორივე ერთი და იგივე მასალისაგან არის დამზადებული.

* * *

მამამ ქალიშვილს საჩუქრად უცხოდ მოჩითული ყელსახვევი უყიდა. 61 მანეთი და ცოტა ხურდა გაიღო ამ ნივთისათვის საყვარელი გოგონას სასიამოვნოდ.

— სამშობლოშო პალტოს საყელოს შიგნით კისერზე შემოიხვევ, თან დაგშვენდება...

გათენდა, და კოხტად გამოწყობილი, ყელდამშვენებული ნათელა ინსტიტუტში ლექციებზე გაემართა. რა იცოდა, თუ ამინდი, უფრო სწორად — უცხოდ მოჩითული ყელსახვევ-ფაფარი მზაკვრობას უმზადებდა... შინ დაბრუნებისას ცაში ღრუბლები არეულიყო, სუსტი წვიმა გაძლიერების ნიშნებს ამჟღავნებდა. და სტუდენტმა გოგონამ თავისი ამბანაგებთანად შინისაკენ მოუჩქარა, ეგვე წვიმის გაძლიერებას დავასწროო. ცოტად მაინც დასველდა. შინ რომ მივიდა, მყისვე გაიძრო პალტო ჩამოკიდება უნდოდა, და უცებ შეჰკივლა:

— აჰ!

— რა მოგივიდა, შვილო!

— დავლუპულვარ, დედა, პალტო დამილაქავებია... რაღა ვქნა!

აფუსფუსდა დედა, მოიხმეს გამოკიდული მეზობლები. ვეღარჩიეთ როგორ მოვიქცეთო, მაგრამ გამოსავალი ვერავითარი ვერ ჰპოვეს. დასველების შედეგად ყელსახვევიდან პალტოს საყელოზე გადისული წიოელი და ლურჯი ლაქები ახლაც მკაფიოდ ანჩია ნათელას პალტოს. გასაშშენდადაც არ მიიღეს—მაგ ლაქებს ვერ ამოვიყვანთ, თუ გსურთ შავად, ან აგურისფრად შეგიღებავთო, უთხრეს „ქიმწენდადაში“.

იარლიყი, რომელიც ამ ავბედითს ყელსახვევს აკრავს, ახლაც შენახული აქვს დალაქავებული პალტოს პატრონს. იარლიყზე ადგენდა: „ფაფარიანი“ (არტელის თავმჯდომარე ა. ხომასურიძე).

* * *

ვინ არის, რა გვარია ლამპის მყიდველი დიასახლისი, მოგვიტანოს უკეთეს ლამპაზე გამოუცვლელთო, იტყვიან არტელ „მელითონეში“, მაგრამ არტელ „ფეიქარში“ ვერ ეტყვიან ნათელას დალაქავებულ პალტოს გამოგიცვლითო. იმიტომ რომ ყველა მომხმარებელს თუ უცვალეს მათი ყელსახვევებით დალაქავებული პალტოები, ეკაეტები ერთობ ძვირად დაუჯდებათ.

უმჯობესია ჩამოიარონ სავაჭრო ქსელი და ყველა მაღაზიას გამოუცვალონ ცუდად, არამდგეგი საღებავებით მოჩითული თავსაფრები, ტრიკოტაჟი და სხვა საქონელი „ფეიქარის“, „კულტგალანტერიის“, „პროგრესის“ არტელების ხელმძღვანელებმა.

* * *

კარს სახელური გაუფუჭდა. ადგა კაცი და ახლის საყიდლად წავიდა. მაღაზიაში მას არტელ „ელექტრომელითონეს“ (თავმჯდომარე ფ. პარდისპანიანი) ნაწარმი სახელური წყვილი 13 მანეთად და 10 კაპიკად შესთავაზეს. იყიდა, გაუკეთა კარს... ერთხელ, კარის გაღებისთანავე კაცმა ხელზე სახელურიდან გადასული ჭუჭკი იგრძნო, სახელურს არ შეეხედებოდა, დაკაბგულიყო, ხელი არ მოეკიდებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ იძულებული გახდა მოეხსნა და გადაეგდო ახლად გაკეთებული სახელური, ხოლო სამაგიეროდ სხვა მაღაზიაში შეეძინა როსტოვის ერთ-ერთ ქარხანაში დამზადებული უკეთესი სახელური წყვილი 8 მანეთად და 75 კაპიკად.

— ერთ-ერთ გამოფენაზე ამ არტელის მიერ გაკეთებული სახელურები და სხვა საკეთილინო ნივთები, მშვენიერი იყო, ამიტომ შევიდე, — ამბობს მომხმარებელი, — საგამოფენო ნიმუშებს თურმე სოკეთესოს აკეთებენ, მასობრივი მომხმარებისთვის კი — უფარგისს, არ ვიცოდი!

* * *

რით უნდა აიხსნას, რომ საქართველოს სარეწაო კოოპერაციის ზოგიერთი არტელი თავისი ნაწარმის უხარისხობით სახელს იტეხს მომხმარებლებში? — უხეირო ხელმძღვანელობით. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ არტელი „მელითონე“ არ გამოუშვებდა ცუდი ხარისხის ნავთის ლამპას, არტელი „ფეიქარი“ ცუდად შეღებილ და მოჩითულ თავსაფარ-ყელსახვევს, არტელი „ელექტრომელითონე“ კარის დაბალხარისხოვან სახელურს.

ეს საქმის ერთი მხარეა. მეორე ის არის, რომ სარეწაო კოოპერაციის არტელებში ცოტას ზრუნავენ არა მარტო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, არამედ საწარმოო გეგმის შესრულებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

თბილისგარეთის ქსელში გასასაღებლად სარეწაო-კოოპერაციის არტელებმა წელს მარტსა სამი კვარტალის განმავლობაში სავაჭრო ორგანიზაციებს დააკლეს 29.000 მანეთის მაისური, 1.518.400 მანეთის ფეხსაცმელი, 174.700 მანეთის საწოლთა ლითონის ზალეები, 164.100 მანეთის სხვადასხვა ზომის ჩემოდნები, უეანგავი ფოლადის 97.700 მანეთის დანა-ჩანგალი, 18.100 მანეთის თიხის საოჯახო ჭურჭელი, 68.100 მანეთის საოჯახო (ხარეცხის) თოკი, 18.600 მანეთის რკინა-კავეულის ნაკეთობა და ა. შ.

სარეწაო კოოპერაციის არტელებს გვერდს „უმშვენებენ“ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სისტემაში მყოფი საწარმოები. განვლილი სამი კვარტალის მანძილზე ამ საწარმოებმა სავაჭრო ქსელს დააკლეს 110.000 მანეთის შალისა და ნამბანარევი ქსოვილები, 65.300 მანეთის საზაფხულო სამნები, 85.000 მანეთის ლეიბები, 229.000 მანეთის ავეჯი, 27.000 მანეთის სარკეები და სხვ.

პროდუქციის ხარისხისადმი უზრუნველობა არტელებს ძვირად უჯდებათ. ამჟამად მათ მიერ სავაჭრო ქსელისათვის გადასაცემად გამზადებულ დიდძალ ტრიკოტაჟს, ალუმინის ჭურჭელს, ავეჯს, საღებავებს და მთელ რიგ სხვა ფართო მოხმარების საქონელს სავაჭრო ორგანიზაციები ქსელში გამოსატანად არ იღებენ, ვიდრე ამ საქონლის ხარისხი დაბალია.

არტელებმა უნდა გარდაქმნან მუშაობა. სარეწაო კოოპერაციის საბჭომ და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ უფრო მოქნილად, საქმის ცოდნით უნდა უხელმძღვანელონ საარტელო წარმოებას, უნდა მიაღწიონ იმას, რომ მომხმარებელი არტელის ნაწარმს ნდობით მოეკიდოს.

ზ. ჯამასპიშვილი, დ. ლომთაძე.

ალბანელი ხალხის გამარჯვების ათი წლისთავი

1944 წლის 29 ნოემბერს ალბანეთის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, გამოიყენეს რა საბჭოთა არმიის მიერ გერმანიის ჯარების განადგურებით შექმნილი პირობები, გადამწყვეტი იერიში მიიტანეს ფაშიზმის წინააღმდეგ და მიაღწიეს ბრწყინვალე გამარჯვებას — სამუდამოდ განთავისუფლდნენ ფაშისტური უღლისაგან, რის შემდეგ წარმოების ძირითადი საშუალებანი, მთელი ქვეყნის დოვლათი მშრომელების ხელში გადავიდა. განხორციელდა ძირითადი სოციალური გარდაქმნები, მათ შორის აგრარული რეფორმა; მოხდა მრეწველობის, ტრანსპორტისა და ბანკების ნაციონალიზაცია. ბურჟუაზიულ-ფეოდალურ ელემენტებს გამოეცალათ ხელიდან პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის საქმე. ალბანეთი ჩამოსცილდა კაპიტალისტურ სამყაროს და დაადგა დემოკრატიისა და სოციალიზმის გზას.

ხალხის სურვილისამებრ, 1946 წლის 11 იანვარს ალბანეთის სახალხო კრებამ, ალბანეთი სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადა. ამავე წლის 14 მარტს მიღებულ იქნა ახალი დემოკრატიული კონსტიტუცია. მშრომელებს მიენიჭათ ფართო დემოკრატიული უფლებები განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სოციალური წარმოშობისა.

ალბანეთი განთავისუფლებამდე ევროპის სახელმწიფოთა შორის ეკონომიურად ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნად ითვლებოდა. სუსტად იყო განვითარებული წარმოების საშუალებანი, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ტრანსპორტი. დამახასიათებელია ისიც, რომ 1938 წელს მრეწველობის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ 3 პროცენტს. იმაზე ნაკლებს, რაც მეფის სასახლის შენახვაზე იხარჯებოდა.

საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებით ალბანეთის მუშათა კლასმა, მშრომელ გლეხობასთან და ინტელიგენციასთან ერთად, უმოკლეს ვადაში მიაღწია ისტორიულ გამარჯვებებს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ყველა დარგში, ეკონომიკის ამაღლებაში, კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ამჟამად ალბანეთში სახელმწიფო სოციალისტური სექტორი წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის ხელმძღვანელ ძალას და სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელების მატერიალურ საფუძველს. ვაჭრობა სახელმწიფოს და კოოპერაციის ხელშია. წარმატებით შესრულდა სახალხო მეურნეობის განვითარების 2-წლიანი (1949-1950 წ. წ.) გეგმა.

დიდ წარმატებებს მიაღწია ალბანელმა ხალხმა მრეწველობის დარგში. უმოკლეს ვადაში აღდგენილ იქნა იმპერიალისტების ბატონობისა და ომის შედეგად დანგრეული სახალხო მეურნეობა. 1951 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა ი. ბ. სტალინის სახელობის საფეიქრო კომბინატი. 1952 წელს 1938 წელთან შედარებით გამოშვებულ იქნა 30-ჯერ მეტი ქსოვილები. 1951 წელს დამთავრდა შაქრის ქარხნის ჰშენებლობა, საექსპლოატაციოდ გადაეცა ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგური. ამჟამად ალბანეთში გამომუშავებული ელექტროენერგია 24-ჯერ აღემატება ომამდელ დონეს; დამთავრდა ბამბისა და ბრინჯის საწმენდი ფაბრიკების, ხის დამამუშავებელი კომბინატის, თამბაქოს საფერმენტაციო ფაბრიკის, ენვერ ხოჯას სახელობის ლითონდამამუშავებელი ქარხნის და მრავალი სხვა საწარმოს მშენებლობა.

1953 წლის დამლევისათვის მრეწველობის საერთო პროდუქცია 1938 წელთან შედარებით 8-ჯერ გადიდდა, კვების მრეწველობის პროდუქცია კი — 10-ჯერ.

გაიზარდა და განმტკიცდა ალბანეთის მუშათა კლასი, წლითიწლობით იზრდება მისი ტექნიკური და კულტურული დონე.

სახალხო ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია სოფლის მეურნეობის აღმავლობის დარგში. განხორციელდა აგრარული რეფორმა, რომლის შედეგად ალბანეთის სოფელი განთავისუფლდა კაპიტალისტებისა და მემამულეებისაგან. ლიკვიდირებულ იქნა ფეოდალური მიწათმფლობელური სისტემა. მემამულეების 172 ათასი ჰექტარი მიწა და 475 ათასი ძირი ზეთის ხე გადაეცა მშრომელ გლეხობას.

აგრარული რეფორმის შედეგად 1954 წელს ნათესი ფართობი გაიზარდა 169,7 პროცენტით 1938 წელთან შედარებით. ამასთან გადიდდა მოსავლიანობაც. დიდი ყურადღება ექცევა ტექნიკური კულტურების — ბამბის, შაქრის ჭარხლისა და სხვ. განვითარებას. 1954 წელს ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობი 12-ჯერ და მეტად გადიდდა, ბამბის მოსავალი კი 70-ჯერ გაიზარდა ომამდელ დონესთან შედარებით. განხორციელდა დიდი სამელიორაციო სამუშაოები.

აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა ინდივიდუალურ-გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების საფუძველზე. ამჟამად ალბანეთში 128 სამწარმოო-მოქმედო საწარმოო კოოპერატივია, რომლებსაც უჭირავთ 25,8 ათასი ჰექტარი სათესი ფართობი და რომლებიც აერთიანებენ 7.455 გლეხურ მეურნეობას. კოლექტიური მეურნეობანი ძირითადად მექანიზებულია. 1954 წელს მთელმა რიგმა სამწარმოო-მოქმედო საწარმოო კოოპერატივებმა აიღეს საშუალოდ 130-140 ფუთი პური ჰექტარზე, 23 პროცენტით მეტი, ვიდრე ინდივიდუალურმა გლეხობამ. ღარიბი და საშუალო გლეხობა სულ უფრო რწმუნდება, რომ სოფლის მეურნეობის კოოპერირება წარმოადგენს ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ერთადერთ სწორ გზას.

ალბანელმა ხალხმა დიდ წარმატებებს მიაღწია კულტურის დარგში. განთავისუფლებამდე ალბანეთი ევროპაში კულტურულად ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნად ითვლებოდა. მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ახლა მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების ეს ძმიმე მემკვიდრეობა თანდათან ისპობა. შემოღებულია საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი და ნაწილობრივ 7-წლიანი უფასო სწავლება. გაიზარდა სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბებისა და კინოთეატრების ქსელი. დაწყებითი სკოლებისა და მოსწავლეთა რიცხვი 4-ჯერ გადიდდა 1938 წელთან შედარებით. 7-წლიან სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა 7-ჯერ, საშუალო სკოლებში კი — 4-ჯერ. ალბანეთში შეიქმნა 6 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც სწავლობს 1.200 სტუდენტი. დიდ წარმატებებს მიაღწია ეროვნულმა კულტურამ და ხელოვნებამ. ფართოდ არის განვითარებული გამომცემლობის საქმე. თუ ძველ ალბანეთში 20 წლის განმავლობაში, 1924 წლიდან 1944 წლამდე, გამოცემული იყო 3,5 მილიონი წიგნი, სახალხო ხელისუფლებამ მხოლოდ 7 წლის განმავლობაში — 1945 წლიდან 1951 წლამდე — გამოსცა 12 მილიონი წიგნი.

განთავისუფლებამდე ალბანეთს საკუთარი თეატრი არ ჰქონდა. ამჟამად კი მარტო ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში სამი თეატრია. კინოთეატრების რიცხვი 1938 წელთან შედარებით გაიზარდა 6-ჯერ. სახალხო ხელისუფლების დროს ტირანაში ჩამოყალიბდა პირველი კინოსტუდია „ახალი ალბანეთი“. 1950 წელს გაიხსნა ფილარმონია.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. სახალხო მთავრობა მილიონობით ლეკს ხარჯავს მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევისათვის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის.

გაუმჯობესდა ხალხის მატერიალური მდგომარეობა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სამჯერ მოიდა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ფართო მოხმარების საქონლის საცალო ფასების შემცირება. გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა წლიური შემოსავალი. მაგალითად, ამჟამად საშუალო კვალიფიკაციის მქონე მუშა 12-ჯერ მეტ ხელფასს იღებს, ვიდრე უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე მუშა იღებდა განთავისუფლებამდე. ზრუნვა მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ალბანეთის შრომის პარტიისა და მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

ამჟამად ალბანელი ხალხი დიდი ენთუზიაზმით შრომობს სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის (1950-1955 წლები) შესასრულებლად, რომლის მთავარი ამოცანაა სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლების აშენება.

ალბანელი ხალხი თავდადებით იბრძვის შრომის პარტიისა და სახალხო მთავრობის მიერ დასახული დიდი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. განთავისუფლების ათი წლისთავთან დაკავშირებით რესპუბლიკის ფაბრიკებში, ქარხნებსა და კოოპერატივებში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ალბანეთის მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა განთავისუფლების ათი წლისთავს ხვდებიან დიდი მიღწევებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მიღწევები განუყოფლად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების მხარდაჭერასა და დახმარებასთან.

საბჭოთა კავშირი ყოველმხრივ ეხმარება ალბანეთის სახალხო რესპუბლიკას საწარმოო ძალების განვითარებისა და მშრომელთა მატერიალური პირობების გაუმჯობესების საქმეში, გამოუყოფს გრძელვადიან კრედიტებს, უწევს მეცნიერულ და ტექნიკურ კონსულტაციას. საბჭოთა სახელმწიფო ალბანეთს აწვდის პირველხარისხოვან მანქანებს, ელექტროსადგურების, ფაბრიკებისა და ქარხნების მოწყობილობას, ტრაქტორებს, კომბაინებს და სხვ.

საბჭოთა სპეციალისტები გადასცემენ ალბანელ მეგობრებს თავიანთ მდიდარ გამოცდილებას, აძლევენ ძვირფას რჩევა-დარიგებას შრომისა და წარმოების ორგანიზაციის საქმეში. ეხმარებიან ახალი წარმოების ათვისებაში, კვალიფიციურ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრების მომზადებაში. ალბანელი ახალგაზრდები მეცნიერებას ეუფლებიან საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში.

საბჭოთა კავშირისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის თანამშრომლობა, ისევე როგორც სოცი

ფინეთს ჩავიდა ა. ი. მიქოიანი

ჰელსინკი, 26 ნოემბერი. (საკდესი). ფინეთის მთავრობის მოწვევით დღეს ჰელსინკს ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები.

აეროდრომზე ა. ი. მიქოიანსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ ფინეთის პრემიერ-მინისტრი უ. კეკონენი, საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ვიროლაინენი, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ა. სიმნენი, თავდაცვის მინისტრი ე. სკუგი, შეიარაღებული ძალების სარდალი გენერალი კ. ჰისკანენი, კონცერნ „ვიარტსილიას“ ხელმძღვანელები, რომლის გემთსაშენებში შენდება ყინულმჭრელები საბჭოთა კავშირისათვის, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ვ. ზ. ლებედევი.

აეროდრომი მორთული იყო სსრ კავშირისა და ფინეთის სახელმწიფო ალმებით.

ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ალბანეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციები სრულიად ევროპის თათბირზე

პრაღა, 26 ნოემბერი. (საკდესი). ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე სრულიად ევროპის თათბირში მონაწილეობის მისაღებად დღეს მოსკოვს გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრი ვილიამ შიროკი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: საგარეო საქმეთა მინისტრი ვაცლავ დავიდი, მშვიდობლობის მინისტრი ემანუელ შლეხტა, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი იოზეფ პლოიგარი.

ბუდაპეშტი, 26 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, გუშინ საღამოს მოსკოვს გაემგზავრა უნგრეთის მთავრობის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სრულიად ევროპის თათბირზე; თათბირი მოწვეულია 29 ნოემბრის საბჭოთა კავშირის მთავრობის ინიციატივით.

დელეგაციის მეთაურია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ანდრაშ ჰეგედიუში, დელეგაციის წევრები არიან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი იანოშ ბოდოდოკი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ენდრე შიკი. დელეგაციის შემადგენლობაში შედის აგრეთვე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ფერენც მიუნიხი.

ტირანა, 26 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ალბანეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ დანიშნა მთავრობის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის წინადადებით მოწვეულ სრულიად ევროპის თათბირში ევროპის კოლექტიური უშიშროების შექმნის საკითხზე. დელეგაციის მეთაურად დანიშნულია ალბანეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მანუშ მუფტიუ. დელეგაციის შემადგენლობაში შედის ალბანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბეჭარ შტიულა. დელეგაციის შემადგენლობაში შედის აგრეთვე ალბანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მიხალ პრიფტი.

ბერლინი, 26 ნოემბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის შემადგენლობა სრულიად ევროპის თათბირზე, რომელიც საბჭოთა კავშირის ინიციატივით მოწვეულია 29 ნოემბერს.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი (დელეგაციის მეთაური), პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვალტერ ულბრიხტი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტორი ლოტარ ბოლეი, პრემიერ-მინისტრის მოადგილეები ოტო ნუშკე და დოქტორი ჰანს ლოხი, გერმანიის გლეხთა დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივანი ბერტოლდ როზე. დელეგაციის შემადგენლობაში შედის აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში რუდოლფ აპელტი.

სასამართლო პროცესი გერმანიის კომპარტიის წინააღმდეგ

ბერლინი, 27 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ კარლსრუეში გრძელდებოდა სასამართლო პროცესი გერმანიის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

ადნ-ის საგენტო იუწყება, რომ 26 ნოემბრის სხდომას დაესწრო გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური გამგეობის სამდივნოს წევრი ვალტერ ფიში. სასამართლომ უარყო დაცვის მოთხოვნა, რომ გერმანიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელს საშუალება მიეცეთ გაეცნონ პროცესის მთელ მასალებს, და უარი თქვა ახსნა-განმარტება მიეცა იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებიც ბონის მთავრობას საიდუმლო დოკუმენტებად მიაჩნია.

თავმჯდომარემ მოსამართლე ვინტერიხმა შემდეგ სიტყვა მისცა ბონის მთავრობის წარმომადგენელს ფონ ლექსს. ფონ ლექსმა გააკეთა განცხადება, რომელიც შეიცავდა სხვადასხვა ცილისმწამებლურ გამოხდომას გერმანიის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, და შეიტანა წინადადება, რომლის მიხედვით გერმანიის კომუნისტური პარტია უნდა გამოცხადდეს „ანტიკონსტიტუციურ პარტიად“ და დაიშალოს. ხოლო მისი ქონება კონფისკაციულ იქნას. მთავრობის წარმომადგენელმა აგრეთვე მოითხოვა აიკრძალოს, რომ გერმანიის კომუნისტური პარტიის ნაცვლად სხვა სახელწოდებით შეიქმნას რაიმე სხვა ორგანიზაცია.

ფონ ლექსის გამოსვლის შემდეგ გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური გამგეობის სამდივნოს წევრმა ვალტერ ფიშმა ითხოვა სიტყვა, მაგრამ თავმჯდომარემ მოსამართლე ვინტერიხმა რაიმე ახსნა-განმარტების მიუცემლად სხდომა დახურა და სასამართლოს შემდეგი სხდომა 30 ნოემბრისათვის დანიშნა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 25 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ პოლიტიკური კომიტეტის დღის სხდომაზე გრძელდებოდა დასავლეთ ირიანის (ანალი გვინეის დასავლეთი ნაწილი) საკითხის განხილვა. სიტყვა წარმოთქვა ავსტრალიის წარმომადგენელმა სპენდერმა, რომელმაც მხარი დაუჭირა ჰოლანდიის პოზიციას. მან განაცხადა, რომ დასავლეთ ირიანის ბედი უშუალოდ ეხება ავსტრალიას, რადგან, მისი სიტყვით, ავსტრალიის უშიშროება განუყოფელია ანალ გვინეის უშიშროებისაგან. სპენდერმა აგრეთვე თქვა, რომ ავსტრალიასა და ჰოლანდიას საერთო ინტერესები აკავშირებს. იცავდა რა ჰოლანდიის თვალსაზრისს, ავსტრალიის წარმომადგენელი საქმეს ისე სახავდა, თითქოს იგი იცავს დასავლეთ ირიანის აღგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს. მან განაცხადა, რომ დასავლეთ ირიანის საკითხი შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ ამ ტერიტორიის მოსახლეობის თავისუფლად გამოხატული ნების საფუძველზე. ხოლო რამდენადაც, ამტკიცებდა სპენდერი, ამ მოსახლეობას ჯერჯერობით არ შეუძლია თვითონ განსაზღვროს თავისი ბედი, იმდენად დასავლეთ ირიანში უნდა დარჩეს არსებული მდგომარეობა. ამავე დროს სპენდერი ყოველნაირად ასახლდა ხოტბას ჰოლანდიის კოლონიური ადმინისტრაციის „წარმატებებს“, რომელიც თითქოს ხელს უწყობდა დასავლეთ ირიანის „პროგრესს“.

ბელგიის წარმომადგენელი ვან ლანგენჰოვი, რომელმაც აგრეთვე მხარი დაუჭირა დასავლეთ ირიანზე ჰოლანდიის კოლონიური ბატონობის შენარჩუნებას, ამტკიცებდა, რომ ამ ტერიტორიის საკითხი თითქოს ჰოლანდიის საშინაო იურისდიქციის საკითხია და არ შეადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომპეტენციას.

ურუგვაის წარმომადგენელმა მერკეს კასტრომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკითხი, რომელიც იარსებებს, არის საკითხი კოლონიალიზმისა, რომლის ბატონობას ბოლო უნდა მოეღოს. მან მხარი დაუჭირა იმას, რომ განსახილველ საკითხზე რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე პოლიტიკურ კომიტეტში მოწოდებულნი დასავლეთ ირიანის მოსახლეობის წარმომადგენლებს.

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა დასავლეთ ირიანის საკითხის განხილვა.

ინგლისის წარმომადგენელმა ნატინგმა, რომელიც იცავდა ყველა კოლონიური სახელმწიფოსათვის საერთო პოზიციას, გაიმეორა მოსაზრებანი, რომლებიც მის დელეგაციას მოჰყავდა, როცა იგი იბრძოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესიის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ გენერალური ასამბლეის ამ სესიაზე დასავლეთ ირიანის საკითხის განხილვა თითქოს არის ცდა „მოახდინონ საერთაშორისო ხელშეკრულებათა რევიზია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დახმარებით“ და გამოიყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ჰოლანდიის მთავრობაზე პოლიტიკური ზეგავლენის მოსახდენად.

მას შემდეგ, რაც გამოვიდა ინდოეთის წარმომადგენელი ბორუაი, რომელმაც მხარი დაუჭირა ინდონეზიის თვალსაზრისს, სიტყვა აიღო უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაურმა ლ. თ. პალამარჩუკმა.

შეიტანა რა ინდონეზიის მთავრობის თხოვნით ამ სესიის დღის წესრიგში დასავლეთ ირიანის საკითხი, განაცხადა პალამარჩუკმა, გენერალური ასამბლეა ხელმძღვანელობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, რომელიც მოითხოვს მოლაპარაკებანი, რათა მშვიდობიანად გადაწყდეს წამოჭრილი სადავო საერთაშორისო საკითხები, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ერების მეგობრული ურთიერთობის დარღვევა. დავა დასავლეთ ირიანის პოლიტიკური სტატუსის შესახებ, როგორც ეს სავსებით ნათელია, სულ უფრო მწვავდება და საფრთხეს უქმნის ინდონეზიისა და ჰოლანდიის მეგობრულ ურთიერთობას. ამიტომ არ შეიძლება არ დაეთანხმოთ ინდონეზიის მთავრობის აზრს, რომ სანამ დასავლეთ ირიანის პრობლემა გადაუჭრელ რჩება, იგი წარმოადგენს ფაქტულ საფრთხეს მშვიდობისა და უშიშროებისათვის დედამიწის ამ ნაწილში.

მოაგონა რა დამსწრეთ, რომ 1949 წელს მრგვალი მაგიდის კონფერენციაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლითაც ჰოლანდია უშინაგნოდ ამბობდა უარს სუვერენიტეტზე მთელი ყოფილი „ნიდერლანდის ოსტ-ინდოეთის“ მიმართ, უკრაინის სსრ წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამით ჰოლანდიამ უარი თქვა სუვერენიტეტზე დასავლეთ ირიანის მიმართ. ამ შეთანხმების მე-2 მუხლი ითვალისწინებდა სტატუს-ქვოს მხოლოდ დროებით შენარჩუნებას იმ პირობით, რომ ერთი წლის განმავლობაში დასავლეთ ირიანის პოლიტიკური სტატუსის საკითხი გადაწყდებოდა მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკებას უნდა განესაზღვრა ამ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის ინდონეზიისათვის გადაცემის მეთოდები და პროცედურა.

უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ უსაფუძვლო ისეთი სამუშაოები, როგორც დასავლეთ ირიანის ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა, რომელიც ზოგიერთი დელეგაციის აზრით, თითქოს მეტყველებს ამ ტერიტორიაზე კოლონიური სისტემის დატოვების სასარგებლოდ, არ უნდა დავიწიწყოთ, თქვა მან, მიზეზები, რომლებმაც განაპირობა ეს ჩამორჩენილობა. ჩვენი შეხედულებით ასეთი მიზეზები სწორედ ის არის, რომ ჰოლანდიის ადმინისტრაცია თავისი კოლონიური მმართველობის განმავლობაში ნაკლებად უწყობდა ხელს დასავლეთ ირიანის ეკონომიურ განვითარებას.

დასასრულ უკრაინის სსრ წარმომადგენელმა განაცხადა: გენერალურმა ასამბლეამ თანახმად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა, რომელიც აცხადებს, რომ გაერთიანებული ერების მიზანია ერებს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარება ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემის საფუძველზე, ხელი უნდა შეუწყოს დასავლეთ ირიანის საკითხის დადებითად გადაჭრას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რაიონში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის. ითვალისწინებს რა ამას, ჩვენი დელეგაცია მხარს დაუჭერს იმ ღონისძიებებს, რომლთა მიზანი იქნება დასავლეთ ირიანის საკითხის დადებითად გადაჭრა. წინადადება, რომელსაც შეიცავს ინდონეზიის რეზოლუციის პროექტი — განახლდეს მოლაპარაკება ინდონეზიისა და ჰოლანდიის მთავრობებს შორის, „რათა უახლოეს მომავალში დაიღოს შეთანხმება დასავლეთ ირიანის პოლიტიკური სტატუსის შესახებ“, პრაქტიკული ნაბიჯია ამ მიმართულებით.

ინგლისის საზოგადოებრივი აზრი აღშფოთებულია ვუდფორდში ჩერჩილის გამოსვლით

ლონდონი, 26 ნოემბერი. (საკდესი). ჩერჩილის მიერ იმ ფაქტის აღიარებამ, რომ ჯერ კიდევ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის დამთავრებამდე იგი აპირებდა შეეიარაღებინა გერმანელი ჯარისკაცები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად, დიდი აღშფოთება გამოიწვია ინგლისელი ხალხის ფართო ფენებში.

როგორც „დეილი უორკერი“ იუწყება, „მშვიდობის მომხრე ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა მოძრაობის“ მდივანმა ჯორჯ კროსმა განაცხადა: „ჩერჩილის სიტყვა ადასტურებს იმას, რომ მან გასცა ყველა ჩვენი ამხანაგი, რომელიც წარსულ ომში იმობდნენ“.

ლეიბორისტული პარტიის ჰულის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, მუნიციპალიტეტის წევრმა ჯეკ ნიკოლსონმა თქვა: „მისი (ჩერჩილის) განცხადება დიდ აღშფოთებას გამოიწვევს ინგლისელ მუშებში. ასეთსავე აღშფოთებას გამოიწვევს იმ ლეიბორისტთა პოზიცია, რომლებიც ჩერჩილს უჭერენ მხარს“.

ლეიბორისტული პარტიის შეფილდის ორგანიზაციის თავლსაჩინო მოღვაწემ ჯონ მელონმა განაცხადა, რომ იგი შეაძრწუნა ჩერჩილის აღიარებამ, და დასძინა: „ახლა ცხადი ხდება პასუხი კითხვაზე, რომელიც ხშირად გაგვგონია წარსულში: „რატომ არ გვენდობა საბჭოთა კავშირი?“. ჩერჩილის სიტყვა ცხადყოფს, რომ იგი ისევე არ ლაპარაკობს ინგლისელი ხალხის სახელით, როგორც 1945 წელს, როცა მან თავისი საშინელი ინსტრუქციები გაუგზავნა მონტგომერის“.

„დეილი უორკერის“ საპარლამენტო კორესპონდენტი წერს, რომ პარლამენტის ბევრი წევრი ჩერჩილის მზადყოფნას — გამოკაენებინა ჰიტლერული არმიები საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ ომისათვის, ახასიათებს როგორც „გამცემლობის აქტს“.

„დეილი უორკერი“ სარედაქციო სტატიაში წერს, რომ ლეიბორისტული პარტიის რიგითმა წევრებმა ჩერჩილის აღიარების მიხედვით უნდა მოითხოვონ პარტიის კონფერენციის დაუყოვნებლივ მოწვევა, რათა გადასინჯონ პარტიის პოლიტიკა გერმანიის საკითხში, რამდენადაც ჩერჩილის განცხადება წარმოადგენს „ომ შავბნელი და ავისმომასწავებელი პოლიტიკის მხილებას, რომელიც საფუძვლად უდევს რემილიტარიზაციას“.

იუგოსლავიის მთავრობის პასუხი საბჭოთა მთავრობის 1954 წლის 13 ნოემბრის ნოტაზე

24 ნოემბერს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო სამდივნომ სსრ კავშირის საელჩოს იუგოსლავიაში გადასცა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობის პასუხი საბჭოთა მთავრობის 1954 წლის 13 ნოემბრის ნოტაზე.

პასუხში ნათქვამია, რომ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გულმოდგინედ შეისწავლა სსრ კავშირის მთავრობის წინადადება, „რამდენადაც იგი შეეხება იმ პრობლემებს, რომლებსაც იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს“.

„იფასებს რა ყოველგვარ ღონისძიებას, რომელიც სასარგებლოა ევროპის გადაუწყვეტელ საკითხთა და განსაკუთრებით ევროპის ქვეყნების უშიშროების საკითხის მშვიდობისმოყვარეობით გადაწყვეტისათვის, — ნათქვამია სპასუხო ნოტაში, — იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მიესალმება და მხარს უჭერს კონფერენციის მოწვევის თვით იდეას, რომელსაც შეიცავს საბჭოთა მთავრობის წინადადება, აგრეთვე იმას, რომ იგი მიმართულია 23 ქვეყნისადმი, და მიაჩნია, რომ ასეთი კონფერენციის მოწყობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების შესაბამისად მნიშვნელოვანი წვლილი იქნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის საერთო შენელებაში“.

იუგოსლავიის მთავრობას, მეორე მხრივ, მიაჩნია, რომ „ევროპის მთელი რიგი ქვეყნების თვალსაზრისი ბევრ საკითხში, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენს, ამჟამად კიდევ ძალიან დაშორებულია ერთმანეთს, და რომ ევროპის ბევრი ქვეყანა მზად არ არის ამ მომენტში მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კონფერენციაში“. იუგოსლავიის მთავრობა გამოთქვამს იმ თვალსაზრისს, რომ ძლიერ დაგვიანებული არ იქნება, თუ კონფერენცია მოეწყობა უფრო გვიანაც, ვიდრე ეს გათვალისწინებულია საბჭოთა მთავრობის 13 ნოემბრის ნოტით.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ რწმენა გამოთქვა, რომ „ყველა დაინტერესებული ქვეყნის ერთობლივ ღონისძიებებს აღნიშნული მიმართულებით, განსაკუთრებით, თუ ამასთან ერთად იქნებოდა შეიარაღების შეთანხმებული შეზღუდვისადმი მისწრაფება, შეეძლებოდა ყველა დაინტერესებული ქვეყნის ინტერესთა და მისწრაფებათა შესაბამისად და მათი მონაწილეობით შეექმნა ხელსაყრელი პირობები, რათა მოეწყოს ასეთი კონფერენცია და გამოინახოს ევროპის თუნდაც ზოგიერთი გადაუწყვეტელი საკითხის შეთანხმებული გადაწყვეტა, რაც უეჭველად შეუწყობდა ხელს საერთაშორისო დაძაბულობის საერთო შენელებას“.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ულან-ბატორი, 25 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გაიმართა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის აბლადარჩეული ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა აირჩია მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები დ. დამბა, ბ. დამდინი, ც. დუგურსურუნი, ნ. ლხამსურუნი, ჟ. სამბუ, ი. ცედენბალი, ბ. შირენდიბი. ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული აირჩნ ამხანაგები დ. ბალეინიამი, ბ. ჟამბალდორჟი.

პლენუმმა აირჩია სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: დ. დამბა, ც. დუგურსურუნი, ნ. ლხამსურუნი, დ. სამდანი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დაამტკიცა ამხ. ა. დუგურჯაბი.

დღესვე გაიმართა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური სარეკვიზიო კომისიის სხდომა. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ც. ბიამბა.

ულან-ბატორში გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი

ულან-ბატორი, 26 ნოემბერი. (საკდესი). დღეს მონღოლთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 30 წლისთავი. რესპუბლიკის დედაქალაქ ულან-ბატორში გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი. ძეგლის გახსნის გამო მიტინგს დაესწრნენ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციების წარმომადგენლები, სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მშრომელები — სულ რამდენიმე ათეული ათასი კაცი.

მიტინგი გახსნა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. დამბამ, შემდეგ გამოვიდნენ ჩობალსანის სახელობის სამრეწველო კომბინატის მუშა პუნცუკ-ენდონი, კომდოს ალმაკის არატი იანჯინი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეგგვარალი.

დღეს საღამოს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ი. ცედენბალმა დარბაზობა გამართა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 30 წლისთავის გამო. დარბაზობამ მეგობრულ, გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა.

პოლ რობსონს კვლავ უარი უთხრეს საზღვარგარეთის პასპორტის მიცემაზე

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი. (საკდესი). „პოლ რობსონისათვის პასპორტის დაბრუნებისათვის ბრძოლის კომიტეტმა“ პრესის წარმომადგენლებს აცნობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა კვლავ უარი უთხრა პოლ რობსონს საზღვარგარეთის პასპორტის მიცემაზე. როგორც აღნიშნულია კომიტეტის ცნობაში, რობსონმა სახელმწიფო დეპარტამენტს სთხოვა პასპორტი საბჭოთა კავშირში გასამგზავრებლად, სადაც იგი მიწვეულია სტუმრად საბჭოთა მწერლების ყრილობაზე.

თბილისი

ავეჯის ახალი მაღაზია

„თბილავაჭრობამ“ უნივერსიტეტის ჭუჭაზე საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ახალი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულში გახსნა ავეჯის დიდი საჩვენებელი მაღაზია.

მაღაზიის სავაჭრო დარბაზს 350 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია. მოწყობილია ორი სექცია — ავეჯისა და ხალიჩებისა.

ავეჯის განყოფილება სისტემატურად დიდი რაოდენობით იღებს უკრაინის, რიგის და თბილისის ავეჯის ფაბრიკების პროდუქციას — რბილ სავარძლებს, რკინისა და ხის საწოლებს, სასადილო და საწერ მაგიდებს, წიგნისა და ტანსაცმლის კარადებს, ბუფეტებს, სკამებს.

მომხმარებელს შეუძლია მაღაზიაში შეიძინოს ხალიჩები, აბაჟურები, ელექტრომტვერსაწოვები და მრავალი სხვა მოწყობილობა.

სურათზე: ავეჯის ახალ მაღაზიაში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ახალი სპექტაკლები

რუსთაველის სახელობის თეატრში

გუშინ, 27 ნოემბერს, რუსთაველის სახელობის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — ჯ. ფლეტჩერის კომედია „ესპანელი მღვდელი“. თარგმანი — გ. ყიფშიძისა (ფრონსის-პირელი).

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ მ. თუმანიშვილს, მხატვრობა — სტალინური პრემიის ლაურეატს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს დ. თავაძეს, მუსიკა — სტალინური პრემიის ლაურეატს ს. ცინცაძეს, ცეკვების დადგმა ქორეოგრაფ დ. მაჭავარიანს, ფარაკაობა — ა. ფეოდოროვს.

მთავარ როლებს ასრულებენ: ე. მანუჯგალაძე, სტალინური პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ე. ოფხაიძე, სტალინური პრემიის ლაურეატი მ. ჩახავა, მსახიობები რ. ჩხიკვაძე, ლ. ტყავაძე, გ. ფეგეშკორი, კ. მახარაძე, ბ. კობახიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ლაფაჩი.

უახლოეს დღეებში მორიგ ახალ დადგმად თეატრი მაყურებელს უჩვენებს მ. გორკის პიესას „ვასა ჟელეზნოვა“. სპექტაკლს დადგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ალექსიძე.

გრიბოედოვის სახელობის თეატრში

ამ დღეებში თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრმა სეზონის პირველ პრემიერად მაყურებელს უჩვენა მ. ბულგაკოვის პიესა „დღეები ტურბინებისა“.

სპექტაკლის დადგმა განახორციელა რეჟისორმა ლ. ვარპახოვსკიმ, მხატვრობა — ე. დონცოვამ.

მთავარ როლებს ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ა. სმირნინი, კ. მიუფკე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ა. ნირავანოვი, ლ. ვრუბლევსკაია, მ. პიასეცკი, ი. რუსანოვი, ბ. ვიაზემსკი, მსახიობები ნ. ტროიანოვი, გ. ვოლინეცი, ა. ბონდარენკო და სხვ.

ახალგაზრდა მწერლების საქალაქო შეკრება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი 1 დეკემბრიდან 5 დეკემბრამდე აწყობს ახალგაზრდა მწერლების საქალაქო შეკრებას.

იწარმოებს სემინარული მუშაობა ჟანრების მიხედვით. ახალგაზრდა რუსი მწერლებისათვის ჩამოყალიბდება ცალკე ჯგუფი.

შეკრება გაიხსნება ოთხშაბათს, 1 დეკემბერს საღამოს 8 საათზე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში (მაჩაბლის ქ. № 13).

ა მ ი ნ დ ი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 29 და 30 ნოემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვლადადი მოღრუბლულობა, სანაპირო რაიონებში ალაგ-ალაგ ხამოკლე ნალექი, შიდა რაიონებში მეტწილად უნალექოდ. ცვლადადი მიმართულების ზომიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 0-5, დღისით 10-15 გრადუსი სითბო. მთიან რაიონებში ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით 0-5 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, მეტწილად უნალექოდ. ცვალებადი მიმართულების ზომიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 2-7 გრადუსი ყინვა, დღისით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 10-15, დღისით 1-6 გრადუსი ყინვა.

ლ ე ქ ც ი ა

29 ნოემბერს საღამოს 8 საათზე საქართველოს კპ თბილისის კომიტეტთან არსებულ ლექტორიუმში (ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში) მოეწყობა პროფესორ ტ. ათაბეკიშვილის ლექცია თემაზე: „ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზია“.

რედაქტორი ნ. ჯაში.

დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

რუსთაველის სახელობის — ესპანელი მღვდელი (დილა-საღამოს, ახალი სპექტაკლი), **მარჯანიშვილის სახელობის** — რაიკომის მდივანი (დილას), ლეგენდა სიყვარულზე (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — გვარის დაუსახელებლად (დილას), ვაი ჭკუისაგან (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — ბრწყინვალე მოპაული (დილას), ტრემბიტა (საღამოს), **სომხური დრამის** — საცდელი მინდორი (დილას), ეკიფი (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — წითელქუდა (აბონემენტი № 46, 11 ს.), მაშენკა (აბონემენტი № 38, 5 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მშვენიერი ვასილისა (10 ს.), ძველ ინგლისში (3 ს. 30 წ.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, თბილისი, სპარტაკი, ისანი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი, კიროვის სახელობის პარკი — მტრის კვალდაკვალ, **ამირანი, 26 კომისრის სახელობის, გორკის სახელობის კლუბი** — შეშთხვევა მარიუშტატში, **კომკავშირელი, დიდუბე** — ავარა II სერია, **კოლხიდა** — ჯუნგლი, **კოლხიდა (საზაფხულო)** — წამების კუნძული.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

30 ნოემბერს	ლ. დელიბი - ლაკმე
1 დეკემბერს	ჟ. ბიზე — კარმენი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბრძოლდება ხელმოწერა 1955 წლისათვის „СТРОЙТЕЛЬНАЯ ГАЗЕТА“-ზე

გაზეთი განკუთვნილია ყველა სახის მშენებლობის მუშების, ტექნიკოსების, მშენებელი ინჟინრებისათვის, აგრეთვე დაძაბროექტებლებისა და არქიტექტორებისათვის, სამშენებლო უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის.

ხელმოწერას იღებენ „სოიუზპეჩატის“ საქალაქო და რაიონული განყოფილებები, კავშირგაბმულობის კანტორები, განყოფილებები და საგენტოები, აგრეთვე ხელმოწერის რწმენებლები.

„სოიუზპეჩატი“

თბილისის „ჩინამოს“ სტადიონი

28 და 30 ნოემბერს

ფეხბურთი

გადასასვლელი თამაში

ოფიცერთა საოლქო სახლი

(ოსტატები)

საქართველოს ჩემპიონი

ტრაქტორ-ტროლეიბუსის სამმართველო

(თბილისი)

დასაწყისი დღის 3 ს. და 30 წ.

ქალაქ ბაკურიანის — ... ...